სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 21 მარტი 2006 №62 (2684) ფასი 50 თეთრი

დავით თავართქილაძე ტირანიდან

ტოპმიოლერს ალბანეთი ცუდად გაუკვირდა

ქართველებმა ტესტ-მატჩამდე ნარკოტესტი ჩააბარეს

ალბანეთში გუშინ ჩაფრენილმა საქართველოს ორივე ნაკრებმა საღამოს ტირანის „დინამოს“ მოედანზე ერთად ივარჯიშა

კადრები ვერ წყვეტენ ვერაფერს

როგორ გაიტანა იაშვილმა?

სახელდახელო ვიდეოფესტივალზე თავისი ვერავინ გაიტანა



სანდრო იაშვილის სადავო გოლი სადავოდვე დარჩა

ქარი და ქაღლები

საქართველოს ნაკრებმა ვარჯიში სიმღერით ჩაამთავრა

დავით თავართქილაძე
ტირანიდან

უცნაურად დაგვხვდა ტირანა: როგორც კი აეროპორტში ჩავედით და ბარგი ჩავიტანეთ, ეგრევე ბელგიური და გერმანული ნაგაზები მოგვადგნენ, ბარგი დაეყნოსეს — ნარკოტიკს ეძებდნენ თუ ბომბს, ვერ გავიგეთ. მოკლედ, საფუძვლიანად შეგვამოწმეს.

...მოსალოდნელზე დიდხანს, 3 საათი და 45 წუთი ვიფურინეთ, რაც ქარის ბრალი იყო. საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები სასტუმრო „შერატონში“ დაბინავდნენ.

ლეგიონერებთან დაკავშირებით ახალი პრობლემა ისაა, რომ ალექსანდრე იაშვილი ტრავმის გამო ვერ ჩამოვა ტირანაში — „აკუნამ“ საზარდულის ტკივილის გამო „ფრაიბურგის“ ბოლო მატჩიც გამოტოვა.

აქვე გეტყვით, რომელმა ფეხბურთელებმა იმგზავრეს თბილისიდან ტირანაში: ლომაია, განუგრავა, ბენაშვილი, მჭედლიშვილი, ნადირაშვილი, ხმალაძე, გიგაური, შაშიაშვილი, ლორია, გ. მერებაშვილი, ს. იაშვილი, გეწაძე, გელაშვილი, ნავალოვსკი, ჟლენტი, გ. ონიანი, ჭანტურია, სეთურიძე.

ჩვენების ვარჯიში აქაური „დინამოს“ მოედანზე ტირანის დროით ხუთის ნახევარზე დაიწყო და ორ საათს გაგრძელდა. მინდორი ძალიან ცუდი იყო, რამაც კიდევ ერთხელ ცხადყო, როგორი არაორგანიზებული დახვედრა მოუწყვეს ალბანელებმა ქართველებს.

ვარჯიში დიდად განსაკუთრებული არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ კლაუს ტოპმიოლერმა დიდი ხანი დაუთმო კუთხურების დამუშავებას. ვარჯიშის ბოლო ნაწილში ფლანგიდან ჩაწოდებები და კარში დარტყმები იყო, ნავარჯიშევს კი ფეხბურთელებმა ძუნძულით დაარტყეს წრე სტადიონს და HAPPY BIRTHDAY TO YOU წაიმღერეს — ასე მიულოცეს დაბადების დღე „ზესტაფონის“ ნახევარმცველ ალექსი ბენაშვილს, რომელიც 17 წლის გახდა. მას ტოპმიოლერმაც გულთბილად მიულოცა.

...შუა ვარჯიშისას ჰერ კლაუსს აცნობეს, რომ ტირანაში გოგუა, ღვინიანიძე, კანკავა, მენთეშაშვილი და ელიავა ჩამოვიდნენ და ჰკითხეს, ჩავრთოთ თუ არა ვარჯიშში. ტოპმიოლერომა თქვა, არაა საჭირო, დაისვენონო. ჩვენები მოგვიანებით ჯაკობიას, გიგიაძის და ალადაშვილის ჩამოსვლასაც ელოდნენ.

ნავარჯიშევს კლაუს ტოპმიოლერს გავესაუბრე და მანაც აღნიშნა, სადღა არ ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი ცუდი პირობები არსად შემხვედრია, არაორგანიზებულად დაგვხვდნენო. რაც შეეხება მთავარს:

— ბევრი ფეხბურთელი პირველად ნახეთ საქმეში. რას იტყვით მათი მომზადების დონეზე?

— ჯერჯერობით ისინი ძალიან კარგად გამოიყურებიან.

— უკვე დაადგინეთ, ალბანელებთან მატჩებში ვინ იქნება ეროვნულ და ვინ ახალგაზრდული ნაკრებში?

— დიახ. მართალია, მათ ერთად ივარჯიშეს, მაგრამ ახალგაზრდულისა და ეროვნულის შემადგენლობებში უკვე ჩამოვყალიბდი.

— ვარჯიშზე დიდი ყურადღება დაუთმეთ კუთხურების ჩაწოდებას...

— თანამედროვე ფეხბურთში სტანდარტულებიდან ბევრი გოლი გადის და ჩვენც არ უნდა ჩამოვრჩეთ.

გარდა ამისა, დაცვით თამაშსაც დიდი ყურადღება დავუთმეთ.

და ბოლოს, თითქმის 99-პროცენტიანი სიზუსტით შეძლებია გამცნოთ, რომ დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ალბანელ თანატოლებს ასეთი შემადგენლობით და ტაქტიკით დაუპირისპირდება: მეკარე ლადო ნადირაშვილი; ლიბერო გიორგი სეთურიძე; სტოპერი დავით გიგაური, ხოლო მარჯვენა-მარცხენა ფლანგებზე დავით მჭედლიშვილი და გიორგი ნავალოვსკი; ნახევარდაცვის საყრდენი გიორგი განუგრავა იქნება; მის წინ გიორგი მერებაშვილი და ბექა ჟლენტი ითამაშებენ; ცენტრფორვარდი — სანდრო იაშვილი; გარემარბები კი, მარჯვნივ ნიკა გელაშვილი, მარცხნივ რევაზ გეწაძე.

კამერუნელებმა საქართველო თითქმის ჩაიშალა...

გურულმა პსჟ ველარ მოდრიჯა

გეცოდინებათ, 17 მარტს ბოლნისის „სიონში“ და „ბათუმში“ სამ-სამ კამერუნელ ფეხბურთელს ელოდნენ. ისინი აგენტ გია გურულის რეკომენდაციით გასასინჯად უნდა ჩამოსულიყვნენ, მაგრამ ჯერაც არ ჩანან — „ბათუმის“ თავკაცმა ოთარ გაბელიამ კი გვითხრა, კამერუნელებს სავიზო პრობლემები შეექმნათ და ალბათ აღარ ჩამოვლენო.

ინფორმაციის გაღამოწმება გია გურულთან ვცადეთ და მანაც ივითვე გვითხრა. კამერუნელებს გადაჯდომებით უნდა ეფრინათ, მაგათ ევროპაში ასე იოლად ვერ გაატარებდნენ და შესაძლოა, მათი საქართველოში ჩამოსვლა ივნისისთვის გადაიდოსო.

„საქართველოს ჩემპიონატში 25 მარტამდე შესვენებაა და კამერუნელებმა მანამდე უნდა მოასწრონ გასინჯვაზე ჩამოსვლა. მერე ტურს ტური რომ მიებმება, მათ დასაკვირვებლად არავის ეცლება. ამიტომაც, ორ-სამ დღეში თუ ვერ ჩამოვლენ აფრიკელები, მაშინ მათი გასინჯვა ივნისისთვის გადაიდება“ — გვითხრა გურულმა.

ალენ ჟირესის ყოფილ თანაშეწეს თავის ვაუზე, სანდროზეც დავეკითხეთ. საფრანგეთის მეოთხედივიზიონელ „ლიონ დუშერის“ ქართველი ფორვარდი „სტრასბურს“ რომ მოსწონებია, აქამდეც ვიცოდით, თუმცა ჩემპიონატის დამთავრებამდე არაფერი გაირკვევაო, გვითხრა გია გურულმა.

მანამდე კი „ლიონ დუშერმა“ საფრანგეთის თასზე სენსაციური სვლა შეწყვიტა. გეხსომებათ, ამ კლუბმა ორი პირველდივიზიონელი, „სტრასბური“ და „ტულუზი“ გამოთიშა, მერვედფინალში კი პსჟ-ს ველარ გაუძლო — 76-ე წუთამდე მინიმალური სხვაობით აგებდა, მაგრამ შეცვლაზე შესულმა პედრო პაულეტამ ორი გოლი გაიტანა და...

სანდრო გურულმა კი 90 წუთი ითამაშა. უკანდაწეული ფორვარდის პოზიციაზე.

ილია ნანობაშვილი

სანდრო გურულის (მარცხნივ) „ლიონ დუშერი“ პსჟ-ს ველარ გასცდა

გერმანია

II ბუნდესლიგა. XXVI ტური

აუე 2:1 ჰანზა

აუე-ს ორივე გოლი დავით სირაძემ გაიტანა

ინგლისი

ჩემპიონატი. XXXIX ტური

საუთჰემპტონი 1:3 უოტფორდი

ასოციაციის თასი

მეოთხედფინალი

სიტი 1:2 ვესტ ჰემი

იტალია

სერია B. XXXIII ტური

ბოლონია 1:1 ატალანტა

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXX ტური

სედანი 2:1 ლე ავრი

ჰოლანდია

მეორე დივიზიონი

გადადებული მატჩები

აპელდორნი 3:0 დენ ბოსხი

ეძელსიორი 1:0 ეინდჰოვენი

იგლსი 4:0 ვეენდამი

ვენლო 3:2 ვოლენდამი

საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. XXIV ტური

პანიონიოსი 0:1 პაოკ

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XXI ტური

ბანიკი 0:2 სპარტა

ორივე კარი ბიჭებს ხართ

კომისიამ შვიდი ნახევარზე გაყო



ბადრი კეთილაძის ფოტო

— დალოცვილო, ორი ვიდეოკამერა რად გინდოდათ, ერთი „აბრეზა“ გეყიდათ და ხომ იქნებოდით ახლა ნახევარფინალში?

— ერთი „აბრეზა“ თუ ერთი მსაჯი?

— რა შუაშია მსაჯი?

— აბა, „აბრეზა“ მით უმეტეს არ არის შუაში...

ამირან კაჭახიძის და ბუბა ტყავაძის ეს ღიმილნარევი დიალოგი გუშინ საღამოს ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ სპორტულ-ტექნიკური კომისიის ღია სხდომას უძღოდა. თავყრილობა, რომელსაც ჯამში დაახლოებით ოცდაათი კაცი დაესწრო, ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა და ვერ ვიტყვით, რომ თავიდან ბოლომდე ღიმილნარევი იყო. შეგახსენებთ, ლაპარაკია „დინამო“ — „ზესტაფონის“ სათასო მატჩზე, რომლის შედეგზეც, მომჩივანი მხარის განცხადებით, არბიტრ მალხაზ მაისურაძის „არაკვალიფიციურმა თუ ტენდენციურმა“ მსაჯობამ გავლენა იქონია.

თავყრილობაზე ემოციათა სიჭარბე იყო მოსალოდნელი და ამირან კაჭახიძეს წინასწარ დაეჭირა თადარიგი — სხდომათა დარბაზში წესრიგს დაცვის ხუთი თანამშრომელი უზრუნველყოფდა. „დინამოს“ ბუბა ტყავაძე, ამირან ღიბრაძე და გია იმნაძე წარმოადგენდნენ, „ზესტაფონს“ კი დავით აბაშიძე და ვლადიმერ პანოვი. მხარეებმა განხილვის დაწყებამდე მოკლე განცხადებები გააკეთეს.

დავით აბაშიძე: „შედეგიდან გამომდინარე, ჩვენ არანაირი პრეტენზია არ გვაქვს, თუმცა პირველი ნახევრის მე-15 წუთზე, როცა საჯარიმოში განუგრავა მოცელეს, პენალტის დანიშვნა ალბათ შეიძლებოდა.“

ბუბა ტყავაძე: „არ ვასაჩივრებთ შედეგს. არც არჩათვლილ გოლს ვასაჩივრებთ, რადგან ამის უფლებას დებულება არ გვაძლევს. ჩვენი საჩივარი მალხაზ მაისურაძის არაკვალიფიციურ ან მიკერძოებულ მსაჯობას უკავშირდება. თავიდანვე გამოვთქვით უკმაყოფილება, რომ ორივე მატჩზე ერთიდაიგივე ბრიგადა დაინიშნა. მაისურაძესთან პრეტენზიები პირველი შეხვედრის შემდეგაც გვქონდა. რაც შეეხება განუგრავას წაქცევას, პენალტი კი არა, მას სიმულაციისთვის გაფრთხილება ეკუთვნოდა.“

კომისიამ ამის შემდეგ მატჩის დირექტორ ნოდარ კაკულიას, დამკვირვებელ სერგო კოტრიკაძეს და თავად მალხაზ მაისურაძეს მოუსმინა. ყველაზე საინტერესო და ხმაურიანი კი, ბუნებრივია, მატჩის ვიდეოფირების განხილვა იყო.

სხდომათა დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ ჯერ „ზესტაფონის“, შემდეგ კი „დინამოს“ ოპერატორების მიერ გადაღებულ ფირებზე ნახა სადავო ეპიზოდები. საკამათოდ არავის გაუხდია, რომ განუგრავას ეპიზოდში წესების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, თუმცა ფეხბურთელის ქმედებაში სიმულაციისაც არაფერი ჩანდა. მერე კი... მერე დაახლოებით 30-ჯერ ვნახეთ სანდრო იაშვილის გოლი, რომელიც მაისურაძემ არ ჩათვალა და ხელით თამაში დააფიქსირა. ორივე ჩანაწერი დასავლეთ ტრიბუნიდან, ფაქტობრივად, ერთი და იმავე ადგილიდანაა გადაღებული. სადავო ეპიზოდში იაშვილი ზურგით დგას კამერისკენ და შენელებული გამეორებისასაც კი ვერავინ თქვა დაბეჯითებით, რომელ ხელზე მოხვდა იაშვილს ბურთი.

სწორედ ამ დროს გამოაჩინა „დინამომ“ კიდევ ერთი — მესამე ჩანაწერი. ბუბა ტყავაძემ განაცხადა, ვიცოდით, ამ შეხვედრაში რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, თავი დავიზღვიეთ და კიდევ ერთი კამერით აღმოსავლეთ ტრიბუნიდანაც გადავიღეთ მთელი შეხვედრაო.

ციფრული ვიდეოკამერით გაკეთებულ ჩანაწერზე იაშვილი კამერისკენ სახით დგას, თანაც შესაძლებელია შეჩერებული კადრის გადიდება და ამან რამდენიმე დამსწრეს, რომელიც მანამდე ჭოჭმანობდა, გადაწყვეტილების მიღება გაუადვილა. თუმცა მხოლოდ რამდენიმეს, რადგან თავად გადაწყვეტილება „მწვადისა და შამფურის“ კლასიკური ვარიაცია აღმოჩნდა.

რვაკაციან კომისიას ამირან კაჭახიძე თავმჯდომარეობდა. ნახევარსაათიანი მსჯელობის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა გადაწყვეტილება: მან საკუთარი ხმის უფლებით არ ისარგებლა, დანარჩენი შვიდი წევრის ხმები კი „ფიფთი-ფიფთი“ გაიყო. კომისიამ მალხაზ მაისურაძის ქმედებებში შეცდომები დააფიქსირა, თუმცა იქვე უარყო განზრახ მიკერძოებული მსაჯობა. მაისურაძე ორი ტურით ჩამოაშორეს უმაღლესი ლიგის შეხვედრებს. „დინამოს“ საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაგრამ მომჩივანს ფედერაციის ანგარიშზე შეტანილი 1000 ლარი არ დაუბრუნდა. სამაგიეროდ კი, „დინამოს“ საапელაციო კომიტეტში გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის 24 საათი მიეცა.

ემოციური საუბრები გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგაც გაგრძელდა, თუმცა სიმართლე გითხრათ, რამდენიმე კითხვა მაინც პასუხგაუცემელი დამრჩა:

— თუ „დინამოს“ საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გამოდის, რომ კლუბის პრეტენზია მსაჯობასთან დაკავშირებით ნაწილობრივ მაინც საფუძვლიანი ყოფილა. მაშ, რატომ აღარ დაუბრუნდა კლუბს 1000 ლარი?

— კომისიის თავმჯდომარემ თავისი ხმით არ ისარგებლა. როგორ გაიყო დარჩენილი შვიდი წევრის ხმები „ფიფთი-ფიფთი“?

ნებისმიერ შემთხვევაში მისასალმებელია, რომ საკითხის საჯაროდ განხილვის პრეცედენტი შეიქმნა. მაშ, რატომღა გვიჭირს აღიარება, რომ არბიტრი ჩვეულებრივი მოკვდავია და შეიძლება შეცდეს? მალხაზ მაისურაძე საუკეთესო ქართველ არბიტრთა შორისაა, თუმცა შეცდომისგან დაზღვეული მიშელ ვოტრო და პიერლუიჯი კოლინაც არ ყოფილან. მოკლედ, გუშინდელი საღამოს შემდეგ მეც იმ „ფიფთის“ მხარეს აღმოვჩნდი, იაშვილზე წესების დარღვევა რომ ვერ დაინახა.

გიორგი ნოზაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

მალხაზ მაისურაძე (მარცხნიდან მეორე) ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა

გოჩა ხოჯავა (შუაში) „თბილისში“ დაბრუნდა

და მაინც თბილისი

ხოჯავამ აუტსაიდერს უნდა უწაოლოს

ცუდ დღეშია „თბილისი“, გუნდი მთელი სისწრაფით მიექანება პირველი ლიგისკენ და შემადგენლობა თუ არ გააძლიერა, ვერც ვერავინ „შეაჩერებს“. არადა, ალალად საწყენია — ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ ხომ გუნდი უეფას თასზე თამაშობდა და მშვენიერი ახალგაზრდა ფეხბურთელებიც გამოზარდა.

გეცოდინებათ, სატრანსფერო ფანჯარა 31 მარტამდე ღიაა და სავარაუდოდ, „თბილისი“ ორი ფეხბურთელის შეძენით მოითქვამს სულს. კლუბის პრეზიდენტმა გოჩა თამაზაშვილმა გუშინ გვითხრა, რომ ესენი ალბათ ზაზა ზირაქიშვილი და გოჩა ხოჯავა იქნებიან.

ზირაქიშვილზე ორი დღის წინაც დავწერეთ, ხოჯავა კი, მოგეხსენებათ, ყველას „ბორჯომში“ გადასული ეგონა, როცა კურორტელებმა შეიტყვეს, რომ მის ყოფილ კლუბ „როსტოვს“ სატრანსფერო თანხა ეკუთვნოდა და ფეხბურთელზეც უარი თქვეს.

გოჩა თამაზაშვილმა კი გვითხრა, რომ „როსტოვთან“ შეთანხმება თითქმის მიღწეულია და ხოჯავას მაისამდე „თბილისში“ დარჩენას აღარაფერი უდგას წინ.

რაც შეეხება „თბილისის“ ახალ მწვრთნელს: როგორც იცით, გიორგი დევდარიანის წასვლის შემდეგ გუნდს თენგიზ კაცია თაკკაცობს, მაგრამ თამაზაშვილის თქმით, ორსამ დღეში კლუბის მწვრთნელთა საბჭოს შეკრება გაიმართება და სავარაუდოდ, „თბილისს“ ახალი კაცი ჩაიბარებს. თუ ვინ, ეს ჯერჯერობით უცნობია.

ილია ნანოგაშვილი

კენჭი ერთ კვირაში იყრება



გაირკვა საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალური ეტაპის წილისყრის თარიღი — გათამაშებას შემორჩენილი ოთხეული მეტოქის ვინაობას 28 მარტს 15 საათზე შეიტყობს.

შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალში თამაშის უფლება თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“, „ამერმა“, ბოლნისის „სიონმა“ და „ზესტაფონმა“ მოიპოვეს. ნახევარფინალის პირველი შეხვედრები 8 აპრილს, საპასუხო კი 2 მაისს გაიმართება. ფინალური მატჩი 13 მაისსაა დანიშნული.

საფეხბურთო ჯლუბი
ბოლნისის „სიონი“ ულოცავს
დავით ჭიჭვეიშვილს
ქალიშვილის
დაბადებას

კონტრა აქტი



მართალია ეს კაცი — საქართველოში იმისთვის ჩამოვედი, სამწვრთნელო კარიერაში წარმატებას მივაღწიო და სამ თვეში ჯერ ის ვერ მოვახერხე, ნაკრების წევრები პირადად გავიცნო.

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლამდე არც ისე დიდი დროა; ჩვენ რომ გვგონია. ჩვენ ისიც გვგონია, რომ ფარერები „ბულკია" და თუ 16 აგვისტოს შესარჩევ ციკლს მათთან შეხვედრით დავიწყებთ, სამი ქულა გამოწერილი გვაქვს. თუ გაინტერესებთ, მოგახსენებთ, რომ ბოლო წლებში ამ „ბულკზე" ავსტრიამ (0:1), კანადამ (0:1), თურქეთმა (1:1), ისრაელმა (1:1), ლიტვამ (0:0), ესტონეთმა (2:2 და 0:2), სლოვენიამ (2:2) და ბოსნიამ (2:2) წაიტეხეს კისერი. ჩვენივე თანაჯგუფელი შოტლანდია კი ლამის თავად იქცა კუნძულელთათვის „ბულკად" (2:2 და 1:1). ვითომ გვაქვს არხეინობის უფლება?

კლაუს ტოპმიოლერს თავიდან უწევს საქართველოს ნაკრების შენება და ჯერ ეს ნაკრები ბუნებაში არ არსებობს. „სამშენებლო სამუშაოებისთვის" გერმანელს, ფაქტობრივად, ერთი კვირა ექნება, რომელსაც ჩვენი გუნდი მაისის მიწურულს ავსტრია-გერმანიაში გაატარებს. მასაც და ჩვენც გვეიმედება, რომ მაშინ მაინც მოხერხდება სრული შემადგენლობის შეკრება. თუმცა ჯერჯერობით ეს მხოლოდ იმედია...

ევროპაში ეროვნული ჩემპიონატები მაისის პირველ დეკადასთან ერთად დასრულდება, საქართველოს ნაკრები კი ავსტრიაში 24 მაისიდან გადაინაცვლებს. რჩება დაახლოებით ორკვირიანი შუალედი, როცა ჩვენი მენაკრეენი საკუთარ პროფესიონალიზმთან პირისპირ დარჩებიან. რამდენი მათგანი შეავსებს მომქანცველი საკლუბო სეზონის შემდეგ თავისუფალ ორ კვირას ინდივიდუალური ვარჯიშებით? ყველა ნამდვილად არა. დიდი შანსია, ავსტრიაში კლაუს ტოპმიოლერმა რჩეული ქართველი ფეხბურთელები იხილოს, მათი შესაძლებლობის მაქსიმუმი კი ვერა. არადა, ავსტრიულ შეკრებას ამხელა დატვირთვა არც ექნებოდა, 27 თებერვლის მოლდოვა — საქართველო, 1 მარტის მალტა — საქართველო და ხვალინდელი ალბანეთ — საქართველო რომ სათანადოდ გამოგვეყენებინა. ავსტრიული შეკრება და პარაგვაელებთან სპარინგი ბოლო შანსია.

წუწუნი და პრობლემებზე ლაპარაკი ყველაზე მარტივია, პრობლემების დასაძლევი გზების გამონახვა — გაცილებით რთული. ერთ-ერთი შესაძლო გამოსავალი, რომელზეც თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ, „ნოუ ჰაუ" ნამდვილად არ არის. ორი წლის წინ ამაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც ხმამაღლა საუბრობდა და ბევრ ევროპულ ქვეყანაშიც არსებობს მსგავსი პრაქტიკა — ფეხბურთის ფედერაციასა და ნაკრების წევრს შორის კონტრაქტზე მოგახსენებთ...

ფედერაცია ნაკრებში პირველად გამოძახებისთანავე აფორმებს ფეხბურთელთან კონტრაქტს, რომელშიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მხარეთა უფლებებიც და მოვალეობებიც. კონტრაქტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტად შეიძლება იქცეს ფეხბურთელის ვალდებულება, კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმების ან ტრანსფერის შემთხვევაში აუცილებლად ჩართოს ამ პროცესში ფედერაციის უფლებამოსილი პირი — სავარაუდოდ, იურისტი. ასეთ შემთხვევაში მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნება ნაკრების ინტერესები და მენაკრების კლუბთანაც აღარ დაგჭირდება ყოველი მორიგი შეხვედრის წინ მოლაპარაკების წარმოება.

მაგალითად: ფეხბურთის ფედერაცია უფორმებს კონტრაქტს ჯაბა კანკავას. ამ კონტრაქტის მიხედვით, კანკავა ვალდებული იქნება, კიევის „არსენალთან" კონტრაქტს მას შემდეგ მოაწეროს ხელი, როცა ფედერაციის იურისტი მისცემს დასტურს.

ფედერაციასა და ნაკრების წევრს შორის კონტრაქტში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა დეტალი: ფეხბურთელის გამოძახების; შეკრებაზე მისი გამოცხადების ვადები; სასტუმროს თუ თვითმფრინავის კლასი, რომლითაც ფეხბურთელი ისარგებლებს; ფორმის ხარისხი და ოდენობა; პრემირების სისტემა და ა.შ.

არაერთხელ მოგვისმენია: როცა ფეხბურთელები საკუთარი ხარჯით ჩამოდიან ოჯახის მოსანახულებლად, ეკონომ-კლასით მოფრინავენ და თუ გზაში შეფერხება უწევთ, ოთხ და სამვარსკვლავიან სასტუმროებშიც ჩერდებიანო. სამგიეროდ, ნაკრებში ჩამოსვლისას თვითმფრინავის ბილეთიც ბიზნესკლასისაა და სასტუმროც უმაღლესი კატეგორიის — მის საზღაურს ხომ ამ შემთხვევაში ფედერაცია იხდის. ვერ გეტყვით, რამდენად საფუძვლიანია ეს განცხადებები, მაგრამ ზემოხსენებული კონტრაქტი ყოველგვარ ხმებს გამოაცლის საფუძველს.

პირობების დარღვევის შემთხვევაში, ფედერაცია უფლებამოსილი იქნება, გაუწყვიტოს ფეხბურთელს კონტრაქტი, ნაკრებში არგამოძახება კი ამის ლოგიკური შედეგი იქნება. ამას გარდა, კლუბებთან მოლაპარაკების პროცესში საქართველოს ნაკრების წევრის სტატუსით სარგებლობის უფლება მიეცემა მხოლოდ იმათ, ვისაც ფეხბურთის ფედერაციასთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს.

კლაუს ტოპმიოლერმა ბრძანა, კლუბებიდან ლეგიონერების გამოთხოვა ყველა „პატარა" ფედერაციის პრობლემაო. ჯერ მართლაც პატარები ვართ და თუნდაც აქედან გამომდინარე გვჭირდება გარკვეული დამცავი მექანიზმი, რაც საკრებო პოტენციალის ბოლომდე გამოყენების წინაპირობა იქნება. დამცავ მექანიზმად სწორედ ფედერაციასა და ფეხბურთელს შორის კონტრაქტი შეიძლება იქცეს. ყოველ შემთხვევაში, ალბათ ღირს დაფიქრება...

გიორგი ნოზაძე

საგა გაგრაზე

კიევის დინამოს საცდელი მეურნეობა მუხრანში

პატრიოტულ-პოლიტიკური პრინციპით უმაღლეს ლიგაში მოთამაშე „სოხუმი" ახლა მე-14 ადგილზეა, უმაღლესი ლიგიდან გავარდნის კანდიდატია, ხოლო პირველ ლიგაში სპორტული პრინციპით მოხვედრილი „გაგრა" მესამე ადგილზეა და უმაღლეს ლიგაში აღზევების კარგი შანსი აქვს. რა გუნდია „გაგრა", რითი სუნთქავს და რა მიზნები აქვს — ეს ალბათ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ქართული საფეხბურთო მილეთისთვის...

გოდერძი ჩიხრაძე

გიორგი ჯითლაძის ფოტო

2004 წელს თბილისის „ლოკომოტივის" 1985-86 წელს დაბადებულმა ფეხბურთელებმა თავიანთ ასაკობრივ ლიგაში გაიმარჯვეს, გივი ჩოხელის თასი მოიპოვეს და როცა მავანმა ამ ბიჭებს უყურა, საფეხბურთო კლუბ „გაგრის" შექმნის იდეაც მაშინ გაჩნდა — „გაგრა" იმ წელსვე, 2004 წელს შეიქმნა და რეგიონულ ლიგაში ჩაება.

კლუბის პრეზიდენტი უკრაინაში მოღვაწე ბიზნესმენი ბესარიონ ჩიხრაძეა, საქართველოს ნაკრების ყოფილი მარცხენა მცველის, ახლა კი თბილისის „ამერის" მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძის ნათესავი, ხოლო „გაგრის" დირექტორი გოდერძი ჩიხრაძე გიორგის ბიძაშვილია — ისინი აფხაზეთიდან, გაგრიდან არიან.

„გაგრას" საცდელი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კიევის „დინამოსთან" და, როგორც გოდერძი ჩიხრაძემ გვითხრა, კიევის „დინამოს" სელექციონერები უკვე აკვირდებიან „გაგრას" და მის ფეხბურთელებს. იანვრის ბოლოს „გაგრა" უკრაინაშიც იყო მიწვეული ოცგუნდა ტურნირში, რომლის ნახევარფინალში კიევის „დინამოს" მეორე გუნდთან 1:2 დამარცხდა, გაგრელთა წინააღმდეგ კახა ალადაშვილსაც უთამაშია.

„გაგრის" სახლი და კარი მუხრანშია. ფეხბურთელები თბილისში, დიღმის მასივში იკრიბებიან, საიდანაც კლუბის ავტობუსს მიჰყავს ისინი მუხრანში, სადაც გაგრელების განკარგულებაში ჯერ ორი მინდორია და მალე ხელოვნურსაფარიანი მოედანიც დაემატება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დახმარებით.

„გაგრა" ძალიან ემადლიერება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს და ყოფილ გენმდივანს გრიგოლ ცაავას — ფედერაციამ „გაგრას" პირველ ლიგაში სამონაწილეო 15 ათასი ლარი არ გადაახდევინა და შიდასატრანსფერო თანხების გადახდისგანაც გაათავისუფლა.

მუხრანში „გაგრის" საშინაო მატჩებს საშუალოდ ორასამდე მაყურებელი ესწრება, ხოლო საკვანძო შეხვედრებში „გაგრას" 300-400 გულშემატკივარიც კი ქომაგობს. სტადიონის ტრიბუნა 500 მაყურებელს იტევს და კლუბი მის გაზრდას აპირებს. გოდერძი ჩიხრაძე ირწმუნება, თუ „გაგრა" უმაღლეს ლიგაში გადავა, გუნდს არანაირი მატერიალური და ფინანსური პრობლემა არ შეაფერხებსო.

„გაგრა" პირველ ლიგაში შარშან გადავიდა, გუნდში მეტწილად 1985-88 წლებში დაბადებული ახალგაზრდები თამაშობენ. „გაგრაში" არის ისეთიც, უმაღლეს ლიგაში რომ უთამაშია — შემტევი ირაკლი სამხარაძე, ვინც 2001-2002 წლების სეზონში თბილისის „დინამოში" იყო. სამხარაძე ამ ცოტა ხნის წინ კიევის „არსენალში" ვარჯიშობდა და, როგორც გოდერძი ჩიხრაძემ გვითხრა, „არსენალის" მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ ზავაროვი სეზონის დასრულების შემდეგ მას კვლავ წაიყვანს.

„გაგრაშია" ირაკლი სამხარაძის ბიძა, თამაზ სამხარაძეც, ის გუნდის ტექნიკური დირექტორია და სტაჟირება კიევის „დინამოში" გაიარა.

„ძალიან მადლობელი ვარ ბესარიონ და გოდერძი ჩიხრაძეების, ასეთ დიდ გუნდში რომ მიმავლინეს სტაჟირებაზე. მზად ვარ, იქ შეძენილი ცოდნა ქართველ მწვრთნელებს გავუზიარო. მალე გიორგი ჩიხრაძეს შევხვდები, რომელიც მოსკოვის მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში სწავლობდა და ერთმანეთს აზრებს გავუზიარებთ" — გვითხრა სამხარაძემ.

გუნდის მთავარი მწვრთნელი რაჟდენ ტოგონიძეა. გაგრელებს იმედი აქვთ, რომ წლეულს უმაღლეს ლიგაში პლეი ოფის გარეშეც მოხვდებიან, ანუ პირველ ლიგაში პირველ ან მეორე ადგილს დაიკავებენ და ფეხბურთელთა დღეს არსებული კონტინგენტით უმაღლეს ლიგაშიც რიგიანად გამოვლენ...

დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ, მანამდე კი, უბრალოდ, გვახსოვდეს აფხაზეთი!

დავით თავართქილაძე



ჯაბა ბერიძის ფოტო

ქართველები უცხოეთში

შოთა არველაძემ სეზონის 21-ე გოლი გაიტანა

რა არის კარგი და რა არის ცუდი

ზოგი დაბრუნდა, ზოგი გაბრუნდა

კახა კალაძის „მილანმა“ სტუმრად 4:0 გაანადგურა „უდინეზე“ და კვლავაც ათი ქულით ჩამორჩება ლიდერ „იუვენტუსს“. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა უდინეში სრულად ითამაშა და დაცვაში მეტოქე არ გაახარა, თუმცა ერთ ეპიზოდში მოულოდნელად ფეხი დაუცდა და... „მილანი“ დიდმ იხსნა.

0:3 — ასეთი ანგარიშით „შალკემ“ ბოლოს როდის წაგო, ძნელი გასახსენებელია. ლევან კობიაშვილის გუნდმა ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მიუნხენის „ბაიერნს“. არადა, გელზენკირხენელებს მშვენიერი შანსი ჰქონდათ, მდევარ „ვერდერთან“ ქულათა სხვაობა გაეზარდათ. კობიმ 90 წუთი დაყო მოედანზე, მაგრამ ეს დღე არც მისი იყო და არც „შალკესი“...

ამ სეზონში მესამედ გავიდა მოედანზე ოთარ ხიზანეიშვილი. „ფრაიბურგმა“ სტუმრად „ზაარბრიუკენთან“ 1:2 წააგო და ჩვენებურმა 78-ე წუთზე შეცვლაზე ითამაშა. ხიზანეიშვილი შარშანდელი მარტის მერე მკურნალობს ტრავმას და სასიამოვნოა, რომ უკვე ნელ-ნელა თამაშშიც ერთვება.

ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა ზურაბ ხიზანიშვილიც. „ბლექბერნმა“ შინ 3:2 დაამარცხა „მიდლსბრო“, ქართველმა მცველმა კი რამდენიმეტურიანი უქმობის მერე სრულად ითამაშა და საკმაოდ საიმედოდაც. მართალია, მასპინძლებმა ორი ბურთი გაუშვეს, თუმცა ინგლისური წყაროების ცნობით, ამაში ხიზანიშვილს ბრალი არ მიუძღვის.

ერედივიზიონის 29-ე ტურის მთავარ მატჩში ქართველმა გაიბრწყინა — შოთა არველაძემ 59-ე წუთზე გაუტანა „ფეიენოორდს“ და „ალკმაარს“ უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა. თანაც, ამ მოგებით ალკმაარელებმა მეტოქეს ცხრილშიც გადაასწრეს და ახლა მეორე ადგილზე არიან.

რუსული პრემიერლიგა ოდენ ოთხი ქართველით დაიწყო — ამათგან ერთი, *გოგიტა გოგუა* იყო ძირითადში, სამმა კი, *გიორგი ჭელიძემ, მიხეილ აშვეთიამ* და *დავით მუჯირმა* შეცვლაზე ითამაშეს. დანარჩენთაგან ზოგი ტრავმირებულია, ზოგიც ძირითადში ვერ მოხვდა. „რუს“ ქართველთაგან ყველაზე გულდასაწყვეტი *მალხაზ ასათიანის* ტრავმაა, რომლის არყოფნაც მოსკოვის „ლოკომოტივს“ უკვე დაეტყო — რკინიგზელებმა შინ 0:1 წააგეს „კრილიასთან“ და ასეთი არეულ-დარეული დაცვა „ლოკომოტივს“ არასოდეს ჰყოლიაო, წერენ რუსი ჟურნალისტები.

ერთი ქართული გოლი გავიდა უკრაინაში — ვასილ გიგიაძემ „სტალს“ თავით გაუტანა და „კრივბასს“ 1:0 მოაგებინა. სხვათაგან კი გამოსარჩევი *ოთარ მარცვალაძის* რვაწუთიანი დინამოური დებიუტია.

კახა შალამბერიძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა			
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	უდინეზე 4:0	90		20	1	2
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	ბაიერნი 0:3	90		25	2	3
ლევან ცქიტიშვილი	ვოლფსბურგი	შ	ჰამბურგი 0:0	0	ტრავმირებულია	14	0	15
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	ს	ზაარბრიუკენი 1:2	0	ტრავმირებულია	20	4	6
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი	ს	ზაარბრიუკენი 1:2	12	შეცვლაზე ითამაშა	3	0	6
გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	ზტ. პაული	შ	ჰერტა (მ)— გადაიდო			18	1	4
გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა								
მიხეილ სავჯაია	ბაიროითი	ს	რეგენსბურგი 1:0	0		16	12	9
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლექბერნი	შ	მიდლსბრო 3:2	90		18	0	6
შვეიცარია. სუპერლიგა								
მიხეილ ყაველაშვილი	ბაზელი	ს	სენტ გალენი 2:2	0		1	1	1
ჰოლანდია. ერედივიზიონი								
შოთა არველაძე	ალკმაარი	შ	ფეიენოორდი 1:0	81	1 გოლი, შეცვალეს	25	21	2
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს	როზენდალი 1:1	0	ტრავმირებულია	13	0	8
რუსეთი. პრემიერლიგა								
მალხაზ ასათიანი	ლოკომოტივი	შ	კრილია 0:1	0	ტრავმირებულია	0	0	15
გიორგი ჭელიძე	ლოკომოტივი	შ	კრილია 0:1	25	შეცვლაზე ითამაშა	1	0	15
მათე ღვინიანიძე	ლოკომოტივი	შ	კრილია 0:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	15
მიხეილ აშვეთია	რუბინი	შ	როსტოვი 2:1	45	შეცვლაზე ითამაშა	1	0	1
გიორგი ქინქლაძე	რუბინი	შ	როსტოვი 2:1	0	ტრავმირებულია	0	0	1
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	შ	როსტოვი 2:1	0	ტრავმირებულია	0	0	1
ნუკრი რევიშვილი	რუბინი	შ	როსტოვი 2:1	0	სათადარიგო	0	0	1
ზურაბ არზიანი	რუბინი	შ	როსტოვი 2:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
ბექა ულენტი	ტორპედო	შ	ტომი 1:2	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	12
დავით მუჯირი	კრილია	ს	ლოკომოტივი 1:0	3	შეცვლაზე ითამაშა	1	0	3
გიორგი ლომაია	ლუჩ-ენერგია	ს	სპარტაკი 1:1	0	სათადარიგო	0	0	6
გოგიტა გოგუა	ნალჩიკი	შ	ცსკა 0:1	61	შეცვალეს	1	0	16
უკრაინა. უმაღლესი ლიგა								
ოთარ მარცვალაძე	დინამო	ს	მ. დონეცკი 3:0	8	შეცვლაზე ითამაშა	1	0	1
კახა ალადაშვილი	დინამო	ს	მ. დონეცკი 3:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
ირაკლი ქორთუა	დინამო	ს	მ. დონეცკი 3:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
ირაკლი მოდებაძე	მ. ზაპოროჟიე	შ	შახტარი 0:3	10	შეცვლაზე ითამაშა	5	2	15
დავით კვირკველია	მ. ზაპოროჟიე	შ	შახტარი 0:3	90		3	0	15
ლაშა ჯაკობია	მეტალისტი	შ	ჩერნომორეცი 1:1	82	შეცვალეს	19	6	5
ილია კანდელაკი	ჩერნომორეცი	ს	მეტალისტი 1:1	90	გააფრთხილეს	13	0	3
კახა მჟავანაძე	ჩერნომორეცი	ს	მეტალისტი 1:1	90	გააფრთხილეს	3	0	3
ვასილ გიგიაძე	კრივბასი	ს	სტალი 1:0	90	1 გოლი	20	6	13
ალეკო ამისულაშვილი	ტავრია	ს	არსენალი 0:1	90		3	0	14
ჯაბა კანკავა	არსენალი	შ	ტავრია 1:0	90		3	0	12
გიორგი ციმაკურიძე	სტალი	შ	კრივბასი 0:1	90		20	1	11
საბერძნეთი. ეროვნული ლიგა								
ლევან მაღრაძე	ქსანთი	შ	ოლიმპიაკოსი 1:0	90		18	0	5
კვიპროსი. პირველი დივიზიონი								
თემურ ქეცბაია	ანართოსისი	შ	პარალიმნი 0:0	90		17	7	4
კლიმენტი ნიტაიშვილი	ანართოსისი	შ	პარალიმნი 0:0	72	შეცვალეს	18	4	4
გიორგი გაბიდაური	ანართოსისი	შ	პარალიმნი 0:0	0		5	0	4
ამირან მუჯირი	ანართოსისი	შ	პარალიმნი 0:0	0		6	1	4

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

იცნობდეთ, დანიელე დე როსი!

სამართალს მუტი დაეფარა

ვაშა და დიდება დანიელე დე როსის! ამ რომაელი ბიჭის საქციელმა არათუ სხვები, საკუთრივ მისი მწვრთნელი და თანაგუნდელები აღაფრთოვანა, არადა, პრაგმატულად რომ ვიმსჯელოთ, ისინი დაზარალებულები დარჩნენ.

დავაზუსტოთ: კვირას „სტადიო ოლიმპიკოზე“ „რომამ“ „მესინას“ 2:1 მოუგო. ამ შეხვედრაში მასპინძლები 1:0-ს უკვე იგებდნენ, როდესაც დე როსიმ მეორე შეაგდო, ოღონდ... ხელით. მსაჯმა წესის დარღვევა ვერ შეამჩნია და გოლი ჩათვალა, მაგრამ თავად ფეხბურთელმა არ იკადრა ასეთი გოლით სინდისის დამძიმება და გოლის გაუქმება ითხოვა.

„ეს იყო საუცხოო ჟესტი, რომელმაც საქვეყნოდ გამოაჩინა, რა მორალისა და შეგნების ბიჭები თამაშობენ „რომაში“ — ამაყად განაცხადა „ჯალოროსის“ დირექტორმა როზელა სენსიმ — აი, ლუჩანო სპალეტის გაკვეთილები! მთელმა ქვეყანამ ნახა, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე როგორ აღიარა დე როსიმ თავისი შეცდომა“.

თანაგუნდელს ხოტბა შეასხა რომაელთა პირველი გოლის ავტორმა სიმონე პეროტამაც:

„დანიელე ცამდე მართალი იყო. თუ ჩვენ ფეხბურთის გალამაზება და გაუმჯობესება გვინდა, ასეთი ქცევით უნდა დავიწყოთ“.

ლუჩანო სპალეტი: „დე როსიმ ვითარება სწორად შეაფასა. ბედნიერი გახლავართ, რომ ასეთი დიდებული საქციელი სწორედ ჩემმა მოთამაშემ ჩაიდინა. მისი მესიჯი მნიშვნელოვანი უნდა იყოს ყველასთვის, ვინც სპორტში საქმიანობს. მან ხელით რომ ითამაშა, არავის შეუმჩნევია, მსაჯსაც კი. დანიელეს იოლად შეეძლო, ეს გოლი შეერჩინა, მაგრამ არამი ზეიმის მოწყობა არ იკადრა და სიმართლის სათქმელად მსაჯს თვალის დაუხამხამებლად მიმართა“.

ხოლო ერთადერთი ადამიანი, რომელმაც დანიელე დე როსის საქციელი სხვანაირად შეაფასა, „მესინას“ მწვრთნელი ბორტოლო მუტი გახლდათ.

„დე როსი უნდა გაეფრთხილებინათ. მართალია, ეს გაფრთხილება პრაქტიკულად არაფერს შეცვლიდა, მაგრამ ჩვენ გვაგრძნობინებდა, რომ მოედანზე მეტოქესთან თანაბარ პირობებში ვართ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ სეზონში ჩვენი მოთამაშე ივიცა ილიევი სიმულაციისთვის დასაჯეს, სხვებს კი კანონის მთელი სიმკაცრით რატომღაც არ სჯიან“.

მართლაც, რამდენგვარი ხალხი დადის ამ ქვეყნად, არა? მოდი, დავიმახსოვროთ რა ეს გვარ-სახელი, ბორტოლო მუტი.

პაპუნა კედია

ცხრამეტი და ჩელსი

რამდენი იდიოტია ფულემში?

„ჩელსის“ სკანდალშემოქმედმა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ ახალი ბრაზიანი სიტყვა თქვა, პრემიერლიგის შეფები ჩვენს გუნდს სხვათაგან განსხვავებულად ეპყრობიანო. ერთი სიტყვით, პორტუგალიელმა სეზონში მესამე წაგების შემდეგ ინგლისის საფეხბურთო საზოგადოებას მორიგი საყვნო თემა შესთავაზა. მესამე წაგება კი „ჩელსიმ“ მეტად ავზნიან შეხვედრაში „ფულემთან“ იგემა 0:1.

ამ შეხვედრაში შეხლა-შემოხლა და უსიამოვნო ინციდენტი დიდივ დროგბას არჩათვლილმა გოლმა გამოიწვია. მართალია, ტელეგამეორებებმა აჩვენა, რომ მსაჯები ცამდე მართალნი იყვნენ — დროგბამ ხელით ითამაშა — მაგრამ მაურინუმ მთელ ამ ისტორიაში სხვა რამ შენიშნა.

„მე ტელევიზორში გამეორება ვნახე და მაშინღა შევამჩნიე, რომ დროგბას ხელით უთამაშია, მსაჯები კი ამას მოედანზე ვერაფრით დაინახავდნენ. მთავარი მსაჯი ხომ აშკარად თვლიდა გოლს და თანამსაჯსაც გამორიცხულია, ხელით თამაში შეემჩნია. მათ, უბრალოდ, „ფულემის“ ფეხბურთელების ზეწოლას ვერ გაუძლეს. პრობლემაც სწორედ ეს არის. დღევანდელ პრემიერლიგაში ოცი გუნდი არ არის, ცხრამეტია და კიდევ ერთი. სამწუხაროდ მსაჯზე საუბრის უფლება არ მაქვს, რადგან ვალდებული ვარ, თავი ვაკონტროლო“ — თქვა მაურინიუმ.

ლონდონური დერბის „მესამე ტაიმი“: „ფულემის“ სტადიონზე საჰიდაო დაუკრეს

და ვინაიდან მსაჯზე მაურინიუ ვერ ლაპარაკობს, მოდი, ჩვენ ვთქვათ ორი სიტყვა. შეხვედრის არბიტრი გახლდათ მაიკ დინი, რომელმაც თავიდან დროგბას გოლის ჩათვლა მართლაც გადაწყვიტა, მაგრამ „ფულემის“ ფეხბურთელები ისე გაგიჟდნენ — და როგორც ირკვევა, ჰქონდათ კიდეც გაგიჟების სრული — რომ მისტერ დინი იძულებული შეიქნა, თანამსაჯ პოლ ნორმანთან მისულიყო, ეთათბირა და გოლი გაუქმებინა. მოგვიანებით არბიტრმა განაცხადა, რომ პოლ ნორმანმ საეჭვო ამბავი გოლის გასვლისთანავე შეამჩნია და საგანგებო ზარის ღილაკით ანიშნა კიდეც, რაც იმას ნიშნავს, რომ გოლი „ფულემის“ მოთამაშეთა ზეწოლის გამო არ გაუქმებულა.

„ფეხბურთელებს ჩემზე არანაირი ზემოქმედება არ მოუხდენიათ. პოლს ზარი უკვე დარეკილი ჰქონდა, ასეთ დროს კი მე ცხადად ვიცი, რასაც ვაკეთებ, თანამსაჯთან სალაპარაკოდ გავრბივარ — თქვა მსაჯმა — მე მივირბინე პოლთან, რომელმაც მითხრა, რომ რაკიღა ბურთი პირდაპირ გაფრინდა, ეჭვი არ იყო, დროგბას ხელით ჰქონდა ნათამაშევი. ძალიან მიხარია, ტელევიზიით ნანახმა ჩემი გადაწყვეტილება რომ გაამართლა. თამაშის ურთულესი მომენტი ჩვენ სწორად შევაფასეთ და ვფიქრობ, სხვა რაღაცებზე ლაპარაკს ჯობია, ამის გამო შეგვაქონ. გოლი რომ ჩაგვთვალა, ყველაფერს გავაფუჭებდით“.

„ფულემის“ ბოსმა კრის კოულმენმა კი მაურინიუსაც გაუგო:

„შარშან „არსენალთან“ მოგვივიდა ასეთივე რამ, ჩვენ სასარგებლოდ პენალტი ჯერ დანიშნეს, მერე კი გადათქვეს, რაც ძალიან ძნელი შესაგუებელია, ასე რომ, „ჩელსის“ აღელვება მესმის, თუმცა პატიოსნად რომ გითხრათ, ჩემთვის სულერთია, რადგან ეს მათი პრობლემაა“.

თუმცა შაბათ საღამოს ინციდენტი ასე იოლად მაინც არ ამოწურულა. თამაშის შემდეგ მოედანზე „ფულემის“ ქომაგები შევარდნენ. თავიანთი ბარიკადების გადალახვა მოახერხეს „ჩელსის“ გულშემატკივრებმაც და მოედანზე თუ მოედნის გარშემო, სხვადასხვა ადგილას, დაახლოებით ხუთი-ექვსი ჩხუბი ატყდა. როგორც ამბობენ, პოლიციამ... ერთი კაცი დაიჭირა. ფეხბურთის ასოციაციის ცნობით, „ფულემი“ შეიძლება მატერიალურად დაისაჯოს, ზემოხსენებული კრის კოულმენი კი ბრძანებს:

„მოედანზე ორი თუ სამი იდიოტი ჩხუბობდა, იდიოტებს კი „ფულემთან“ საერთო არაფერი უნდა ჰქონდეთ“.

პაპუნა კედია

ლაპარაკი ვენგერზე: მიდის! ვენგერის ლაპარაკი: არ მივდივარ!

ტიერი ანრის თაობაზე მარჩიელობა გრძელდება — „ბარსელონა“ თუ „რეალი“? ან იქნებ სულაც სხვა ევროპული გრანდი. თუმცა ფრანგი ფორვარდის მთავარ მსურველებად სწორედ ორი ესპანური გიგანტი მიიჩნევა. ფავორიტად „ბარსელონა“ სახელდება, რომლის ხელმძღვანელებიც ანრით ადრეც დაინტერესებულან. კლუბის პრეზიდენტი ხუან ლაპორტა დიდი ხანია, არ მალავს, რომ მისი თამაში ძალიან ხიბლავს. თავად ფეხბურთელმა ყველა ჭორი უარყო და აღნიშნა, ახლა მხოლოდ „არსენალთან“ ერთად პრემიერლიგის ოთხეულში ანუ საჩემპიონთალიგო ზონაში მოხვედრაზე ვფიქრობო. ამავე დროს, მან არც მწვადი დაწვა და არც შამფური. ანრის „მეთოფეებთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე და მომავალზე კონკრეტული არაფერი უთქვამს.

„ჭორების აყოლა არ ღირს. ხალხს ლაპარაკს ვერ ავუკრძალავთ, ამიტომ ეს მითქმა-მოთქმაც ზაფხულამდე გაგრძელდება. მე ამას ყურადღებას არ ვაქცევ და მხოლოდ თამაშზე ვარ კონცენტრირებული. ახლა მთავარია, პრემიერლიგის ოთხეულში მოვხვდეთ, ეს კლუბის უპირველესი მიზანია“ — განაცხადა ანრიმ.

მოგეხსენებათ, ანრი მოქმედი ხელშეკრულებით კიდევ ერთი წლითაა „არსენალის“ საკუთრება. ლონდონელები ამიტომაც ჩქარობენ კონტრაქტის გახანგრძლივებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ზაფხულში ანრის გაყიდვა მოუწევთ, რათა ფინანსურად არ იზარალონ. მოლაპარაკებების პირველი ეტაპი უშედეგოდ დასრულდა, ფრანგი ფორვარდი „მეთოფეთა“ წინადადებას არ დათანხმდა. აქაოდა, თუ გუნდში სტიმული ვერ დავინახე და ტიტულისთვის ბრძოლის რეალური შესაძლებლობა არ გვექნება, წასვლაზე ვიფიქრებო.

„არსენალიდან“ წასვლას ეშლი კოულსა და გუნდის თავკაც არსენ ვენგერსაც უწინასწარმეტყველებენ. ორივე მათგანს მადრიდის „რეალს“ უკავშირებენ, მაგრამ ფრანგმა სპეციალისტმა ყველა ვარაუდი კატეგორიულად უარყო.

„არსენალთან“ კონტრაქტი მაკავშირებს, რომელსაც პატივს ვცემ. ჩვენ ახალ სტადიონზე გადავდივართ და ახალ გუნდს ვაშენებთ. მე აზრი არ შემიცვლია და ამ პროექტში მონაწილეობას ვაპირებ. რაც შეეხებათ კოულსა და ანრის, მიხარია, რომ ორივე კლუბში დარჩენას აპირებს. მათთან კონტრაქტის გახანგრძლივება იგეგმება და ვფიქრობ, მალე ყველა პრობლემა მოგვარდება“ — თქვა ვენგერმა.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელმაც შესაძლოა, „მეთოფეები“ დატოვოს, ასევე ფრანგი რობერ პირესია. იგი ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდება და მსურველებიც არ აკლია, მაგრამ ნახევარმცველს „არსენალში“ დარჩენა უნდა. პრობლემა ისაა, რომ პირესს ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება სურს, კლუბი კი მას მხოლოდ ერთწლიანს სთავაზობს.

არსენ ვენგერი: „ძალიან მინდა, რობერი, სულ ცოტა, კიდევ ერთი სეზონი დარჩეს. ამას ყოველთვის ვამბობდი. მესმის, რომ მას გრძელვადიანი შეთანხმება სურს, მაგრამ უკვე ითქვა, რომ 30 წელს გადაცილებულ მოთამაშეებს კონტრაქტს ერთ წელზე მეტი ვადით არ გავუგრძელებთ. პირესი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და იმედია, საბოლოო გადაწყვეტილებას მალე მიიღებს“.

გიორგი კაკაბაძე

ხმა ერისა, ხმა არსენისა: კერბიშლი!

არსენ ვენგერმა თქვა, რომ შაბათს მისი „არსენალისგან“ ძლეული „ჩარლტონის“ მენეჯერი ალან კერბიშლი ინგლისის ნაკრების მწვრთნელობის საუცხოო კანდიდატურაა.

წინა უქმეებზე კერბიშლის ფეხბურთის ასოციაციის სამკაცა კომიტეტის წევრები შეხვდნენ და მას შემდეგ მითქმა-მოთქმა არ შემწყდარა, ნაკრების თავკაცად სწორედ მას აირჩევენო. არადა, კანდიდატი კიდევ სამია.

ნაკრების მწვრთნელობა ძალიან უნდა „ბოლტონის“ თავკაც სემ ალარდაისს, თუმცა, როგორც ამბობენ, მისი კანდიდატურა თანდათან უკანა პლანზე გადადის. „სიტის“ მწვრთნელმა სტიუარტ პირსმა ახლახან გააფორმა ახალი კონტრაქტი თავის კლუბთან, ფავორიტად კი კვლავინდებურად მარტინ ონილი მიიჩნევა, თუმცა სახალხო მოწოდებამ, ინგლისელი გვინდაო, შესაძლოა, ონილიც უკან დასწიოს — იგი ხომ ჩრდილოირლანდიელია.

მოკლედ, ხალხი კერბიშლიზე ლაპარაკობს და ვენგერიც, რომელსაც ჯერ კიდევ ერიკსონამდე სთავაზობდნენ ინგლისის ნაკრების მწვრთნელობას, ამბობს: „საუცხოო კანდიდატურაა. ბარე ათი წელია, პატარა გუნდს პრემიერლიგაში აარსებებს და თან ძალიან ღირსეულად. ნაკრების მწვრთნელი გამოცდილი უნდა იყოს, ვთქვათ, 65-ე წუთზე ზუსტი შეცვლა უნდა შეეძლოს. ეს კერბიშლის შეუძლია. მართალია, მას საერთაშორისო ფეხბურთის გამოცდილება არ აქვს, მაგრამ ნაკრების მწვრთნელისთვის მთავარი მოთამაშეთა პატივისცემა და კარგი ყნოსვაა. ალანს არც ერთი დაეწუნება, არც მეორე“.

ალან კერბიშლი

ირაკლი გამყრელიძე

მანჩესტერი ნაკრებს აყირავებს

რუნი-ბიჭი ჩვენთვის გვინდა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ უფროსობამ გამოაცხადა, რომ პრემიერლიგის დარჩენილ თამაშებში უეინ რუნის არანაირი შელავათი არ მიეცემა, თუნდ სვენ გორან ერიკსონი და ნაკრების მთელი მაღალი უფროსობა ყირაზე დადგეს.

ასეთ შემთხვევაში ისე გამოვა, რომ წლეულს ფეხბურთელს, რომელიც ჯერ ოცი წლისაც არ არის, 50 თამაში გამოუვა და გვარიანად გადაქანცული შეხვდება მსოფლიოს ჩემპიონატს, რომლის მომავალ გმირადაც სახავენ.

კლუბის სახელით კარლუშ კეირუშმა ილაპარაკა: „მესმის, რომ ხალხს ეს აწუხებს და ნაკრებისთვის კარგი უნდა, მაგრამ მე ის ჩემი კლუბისთვის მინდა. ამაში გასაკვირი არაფერია. ახლა განრიგი ისეა, რომ კვირაში ერთი თამაში გვიწევს და ბიჭი მაინცდამაინც გადაქანცული არ იქნება. უბრალოდ, ნაკრების უფროსობას თავის დაზღვევა უნდა. რუნის დასვენება ნამდვილად არ სჭირდება, ის ახლა ფანტასტიკურ ფორმაშია“.

„მანჩესტერს“ ბოლო პრემიერლიგური თამაში 7 მაისს აქვს, ინგლისის ნაკრებს კი პირველი სამსოფლიოთასო 10 ივნისს. დრო მართლაც საკმარისია იმისთვის, რომ რუნიმ და საერთოდ ფეხბურთელებმა ამოისუნთქონ. სხვა საკითხია, რომ რუნიმ წლეულს მართლაც ბევრი ითამაშა. მასზე მეტჯერ „მანჩესტერის“ ძირითადში მხოლოდ რიო ფერდინანდი და ედვინ ვან დერ სარი იყვნენ.

ირაკლი გამყრელიძე

უკრაინა

უმაღლესი ლიგა

XXII ტური

მეტალურგი (დ) — დინამო 0:3; მეტალისტი — ჩერნომორეცი 1:1; მეტალურგი (ზ) — შახტარი 0:3; არსენალი — ტავრია 1:0; სტალი — კრივბასი 0:1; ზაკარპატია — ხარკოვი 2:1; ილიჩევეცი — დნიპრო 0:0; ვორსკლა — ვოლინი 2:0

დინამო	22	18	4	0	51:12	58
შახტარი	22	17	4	1	48:9	55
ჩერნომორეცი	22	10	5	7	29:21	35
ილიჩევეცი	22	9	7	6	21:21	34
მეტალურგი (დ)	22	8	7	7	25:19	31
მეტალისტი	22	9	4	9	27:30	31
ვოლინი	22	8	4	10	26:35	28
დნიპრო	21	7	6	8	21:20	27
ვორსკლა	22	7	6	9	20:26	27
ხარკოვი	22	7	5	10	25:28	26
სტალი	21	6	7	8	17:27	25
არსენალი	22	6	6	10	18:28	24
კრივბასი	22	6	5	11	18:24	23
ტავრია	22	6	4	12	15:25	22
მეტალურგი (ზ)	22	6	4	12	20:33	22
ზაკარპატია	22	3	6	13	14:37	15

მექსიკა

კლაუსურა. XI ტური

ხაგუარესი — ტოლუკა 2:0; ატლანტე — ატლასი 0:1; ტიგრესი — მორელია 2:3; გვადალახარა — კრუზ ასული 1:0; დორადოსი — პაჩუკა 1:3; ნეკაქსა — ვერაკრუსი 0:1; სან ლუისი — ამერიკა 2:0; უნამი — ტეკოსი 0:1; სანტოსი — მონტერეი 1:1

ჩილე

პრიმერა დივიზიონი. VIII ტური

უნივერსიდად კათოლიკა — ლა სერენა 2:0; კოლო კოლო — კობრესალი 3:0; კოკიმბო — პიგინსი 2:1; უაჩიპატო — მორნინგი 3:1; უნიონ ესპანიოლა — უონდერერსი 1:0; ანტოფაგასტა — უნივერსიდად დე ჩილე 0:1; კობრელოა — რეინჯერსი 5:1; ევერტონი — პალესტინო 1:1; კონსეპსიონი — პუერტო მონტი 2:2

არგენტინა

კლაუსურა. X ტური

ბანფილდი — ესტუდიანტესი 1:0; არგ. ხუნიორსი — სან ლორენსო 0:1; კოლონი — ველესი 1:3; ოლდ ბოისი — ინდეპენდიენტე 2:0; რივერ პლეიტი — ოლიმპო 3:0; არსენალი — ხიმნასია (ხ) 2:5; ტირო ფედერალი — ბოკა ხუნიორსი 0:0; კილმესი — როსარიო 1:1; რასინგი — ლანუსი 0:0; ხიმნასია (ლ) — ინსტიტუტო 2:0

მსოფლიოსთასი

გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

A ჯგუფი

გერმანია, ეკვადორი, პოლონეთი, კოსტა რიკა

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი 2004 წლის ივლისში რუდი ფიოლერის გადადგომის შემდეგ დაინიშნა. იმის გამო, რომ დიდი სამწვრთნელო გამოცდილება არა აქვს და ნაკრებიც არადამაჯერებლად თამაშობს, მას უამრავი კრიტიკოსი ჰყავს. მისი ოპონენტები თვლიან, რომ ამხანაგური მატჩები და კონფედერაციათა თასზე შეძენილი გამოცდილება საკმარისი არ არის. თანაც, გერმანიას, როგორც მასპინძელს, შესარჩევი ეტაპი არ გაუვლია. კლინსმანმა მოთამაშის რანგში 1990 წელს მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი.

* * *

კაპიტანი: მიხაელ ბალაკი ნაკრების უდავო ლიდერია. მას შეიძლება ვუწოდოთ გერმანელთა მსოფლიო დონის ერთადერთი ვარსკვლავი, რომელმაც 2002 წლის მუნდიალზე თავისიანები ლამის მარტომ გაიყვანა ფინალში. თუმცა არც მას აკლია კრიტიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ ბალაკი ზედმეტად რეკლამირებულია.

* * *

მონაგარი: გერმანიას ყველა მუნდიალზე უთამაშია, გარდა 1930 და 1950 წლებისა. არის სამგზის ჩემპიონი (1954, 1974, 1990) და ოთხგზის ვერცხლის მედალოსანი (1966, 1982, 1986, 2002).

* * *

1954 წლის ჩემპიონატის მოგებით გერმანელებმა ყველა გააკვირვეს — ფინალში 3:2 მოუგეს უნგრეთის „დიდ გუნდს“, რომელთანაც ჯგუფში 3:8 ჰქონდათ წაგებული. ეს გამარჯვება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაქცეულ ქვეყანას მორალურად ძალიან დეხმარა.

* * *

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანია მეოთხედფინალში სამარცხვინოდ, 0:3 დამარცხდა ხორვატიასთან. ასეთი სხვაობით გერმანელებს 1958 წლის მერე არ წაეგოთ: მაშინ მესამე ადგილისთვის მატჩში საფრანგეთთან 3:6 დამარცხდნენ.

* * *

ლეგენდა: ფრანც ბეკენბაუერი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატი მოთამაშესაც მოუგია (1974) და მწვრთნელის რანგშიც (1990). ამგვარი მიღწევით „კაიზერ ფრანცის“ გარდა მხოლოდ ბრაზილიელი მარიო ზაგალო დაიკვეხნის.

* * *

+ კლინსმანმა ნაკრებში მისვლის შემდეგ მცირე ტაქტიკური რევოლუცია მოაწყო. იგი ნაკრებს ათამაშებს სწრაფი პასებით, ძალიან აგრესიულად და შეტევაზე ორიენტირებულად, რის გამოც გერმანიას საკმაოდ ბევრი გოლი გააქვს.

* * *

— კლინსმანის სტრატეგიის ნაკლი სუსტი დაცვაა. ახალგაზრდა და გამოუცდელი მცველები ხშირად ცდებიან. გერმანია ლამის იმდენ გოლს უშვებს, რამდენიც გააქვს.

* * *

1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც გახდა კიდეც იმ მუნდიალის გამარჯვებული, ჯგუფურ ეტაპზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან 0:1 დამარცხდა. ეს ორი გერმანიის ნაკრებთა პირველი შეხვედრა იყო ისტორიაში.

* * *

აზრი: გერმანიის საუკეთესო კლუბის, მიუნხენის „ბაიერნის“ გენერალური მენეჯერი ული ჰონესი: „მე იმასვე ვფიქრობ, რასაც დანარჩენი ქვეყანა. დღევანდელი ეროვნული ნაკრები კატასტროფაა“.

გერმანიის ნაკრების ჯგუფური მატჩების განრიგი

9 ივნისი	გერმანია — კოსტა რიკა	მიუნხენი
14 ივნისი	პოლონეთი — გერმანია	დორტმუნდი
20 ივნისი	გერმანია — ეკვადორი	ბერლინი

გერმანიის ნაკრების ბოლო 16 მატჩი

09.02.2005	გერმანია — არგენტინა	2:2
26.03.2005	სლოვენია — გერმანია	0:1
04.06.2005	ჩრდ. ირლანდია — გერმანია	1:4
08.06.2005	გერმანია — რუსეთი	2:2
15.06.2005	გერმანია — ავსტრალია	4:3
18.06.2005	ტუნისი — გერმანია	0:3
21.06.2005	არგენტინა — გერმანია	2:2
25.06.2005	გერმანია — ბრაზილია	2:3
29.06.2005	გერმანია — მექსიკა	4:3
17.08.2005	ჰოლანდია — გერმანია	2:2
03.09.2005	სლოვაკეთი — გერმანია	2:0
07.09.2005	გერმანია — სამხრეთ აფრიკა	4:2
08.10.2005	თურქეთი — გერმანია	2:1
12.10.2005	გერმანია — ჩინეთი	1:0
12.11.2005	საფრანგეთი — გერმანია	0:0
01.03.2006	იტალია — გერმანია	4:1

სტადიონები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს თასს თორმეტი სტადიონი უმასპინძლებს. დღეს ექვსს წარმოგიდგენთ



ბერლინი. ოლიმპიაშტადიონი. ტევადობა 71 176

არქიტექტორ ვერნერ მარხის პროექტის მიხედვით აიგო 1934-1936 წლებში. „ოლიმპიაშტადიონი" გერმანიას 42 მილიონი მაშინდელი რაიხსმარკა დაუჯდა. ამ არენაზე 1936 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკელმა მძლეოსანმა ჯესი ოუენსმა ერთბაშად 4 ოქროს მედალი მოიგო. სტადიონისკენ მიმავალი ერთ-ერთი ქუჩაც სწორედ მისი სახელობისაა. 1985 წლამდე გერმანიის თასის ფინალური მატჩები „ოლიმპიაშტადიონზე" ტარდებოდა. 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სტადიონმა სამ შეხვედრას უმასპინძლა. წლევანდელ მუნდიალზე „ოლიმპიაშტადიონზე" 6 მატჩი გაიმართება. 9 ივლისს ფინალში გასული გუნდებიც აქ ითამაშებენ.

სტადიონის რეკონსტრუქცია 2000 წელს დაიწყო და 2004-ში დასრულდა. განახლებული არენის გახსნის ცერემონიალი 2004 წლის 31 ივლისს მოეწყო.



ლაიფციგი. ცენტრალშტადიონი. ტევადობა 44 199

ძველი „ცენტრალშტადიონი", რომელიც 1956 წელს აშენდა, ყველაზე დიდი იყო გერმანიაში, 100 ათას მაყურებელს იტევდა. რეკონსტრუქცია 1997 წელს ჩაუტარდა.



ჰანოვერი. ნიდერსაქსენშტადიონი. ტევადობა 44 652

აშენდა 1954 წელს. 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილია და ჰოლანდია აქ თამაშობდნენ.



დორტმუნდი. ვესტფალენშტადიონი. ტევადობა 69 000

გერმანელები მას ბუნდესლიგის „ოპერა ჰაუსსაც" ეძახიან. „ვესტფალენშტადიონი" საგანგებოდ 1974 წლის მუნდიალისთვის ააშენეს. ეს დორტმუნდის „ბორუსიას" საშინაო სარბიელია და ბუნდესლიგის მატჩებზეც სრული ანშლაგია.

გელზენკირხენი. აუფშალკე. ტევადობა 61 524

ჰამბურგი. ფოლკსპარკშტადიონი. ტევადობა 55 000

ახალ ჰამბურგულ სტადიონზე პირველად 2000 წლის 2 სექტემბერს გერმანიისა და საბერძნეთის გუნდებმა ითამაშეს. იქაური ფანები ბუნდესნაკრების იქ თამაშს მოუთმენლად ელიან. უვე ზეელერმა, „ჰამბურგისა" და გერმანიის ნაკრების ძველმა ლეგენდამ განაცხადა, რომ თუ „ნაციონალმანშაფტი" ამ სტადიონზე ითამაშებს, წაგება და ფრე გამორიცხულია.

დაივიწყეთ შოკოლადი და იფიქრეთ წიწაკაზე

რონალდ კუმანის საჯაჭვეგრძელო: ჩემო ძვირფასო კატალონიელებო, მე თქვენ უნდა გაგამწარეთ

რონალდ კუმანმა პორტუგალიური „ბენფიკა“ თერთმეტწლიანი კრიზისის შემდეგ კვლავ დიდსაფეხბურთო ევროპულ ელიტაში დააბრუნა. ჰოლანდიელს ლისაბონელი ფანები ძალიან ემადლიერებიან: „ბენფიკამ“ ხომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში უკანასკნელად 1994-95-ის სეზონში ითამაშა, ზუსტად იმ პერიოდში, როცა კუმანმა „ბარსელონა“ დატოვა, თავისი დიდების გუნდი. წლეულს პორტუგალიელებმა მერვედფინალიდან ლიგის წინა გამარჯვებული, „ლივერპული“ გამოთიშეს და ახლა შერკინება სწორედ „ბარსასთან“, რონალდ კუმანის ექსკლუბთან მოუწევთ. „ბენფიკას“ ახლანდელი მწვრთნელი კი ის კაცია, 1992 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში „სამპდორიას“ რომ ფანტასტიკური გოლი გაუტანა და „ბარსელონას“ ჯერჯერობთ ერთადერთი ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა. კუმანს კატალონიური „სპორტის“ ჟურნალისტები ესაუბრნენ

— ლიგის მეოთხედფინალში „ბენფიკა“ „ბარსელონას“ დაუპირისპირდება. კენჭისყრის შედეგით კმაყოფილი ხართ?

— ჯერ კიდევ „აიაქსში“ ყოფნისას ვფიქრობდი, რომ ადრე თუ გვიან „ბარსელონასთან“ შეჯახება მომიწევდა. ჩემთვის ეს მატჩები განსაკუთრებული იქნება. თანაც, მას შემდეგ, რაც ლიგიდან „ლივერპული“ გამოვთიშეთ, სწორედ „ბარსას“ დარ მოწინააღმდეგეს ვირჩევდი და არა რომელიმე იტალიურ კლუბს.

— პარიზში კენჭისყრაზე „ბენფიკას“ წარმომადგენელთაგან მხნედ მარტო თქვენ იყავით...

— დიახ. პორტუგალიელები შოკში იყვნენ, რადგან „ბარსელონას“ ლიგის მთავარ ფავორიტად მიიჩნევდნენ და მინდა, გითხრათ, რომ მეც ამ აზრს ვიზიარებ, თუმცა კატალონიელებთან ჯახს თავისი დადებითი მხარეც აქვს. „ბარსა“, ბოლოს და ბოლოს, თავისი სტილის გამო, თამაშის უფლებას მაინც მოგცემს, აი, „მილანი“ და „იუვენტუსი“ კი... განსაკუთრებით მძიმე „იუვესთან“ ბრძოლა იქნებოდა... „ბარსელონა“ კი სხჭა საქმეა. დარწმუნებული ვარ, სანახაობრივად მიმზიდველი თამაში იქნება და ჩვენი შანსებიც არც ისე მცირეა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

— როგორ ფიქრობთ, თქვენთვის პირველ მატჩში 1:0 მოგება იდეალური შედეგი იქნება?

— მთავარია, „და ლუჟზე“ გოლი არ გავუშვათ — ამას ფეხბურთელის და მწვრთნელის გამოცდილებით ვამბობ. თუ პირველ შეხვედრაში კარს მშრალად შევინახავთ, ნახევარფინალში გასვლის შანსი არ დაიკარგება. „ლივერპულთანაც“ ამგვარი რამ მოხდა და ფანტასტიკური იყო. „ბარსასთან“ შინ 0:0 და სტუმრად 1:0 მართლაც იდეალური შედეგი იქნება.

— რა არის „ბენფიკას“ მთავარი იარაღი, რომლითაც ბარსელონელები უნდა გააკვირვოთ?

— თუ ამ სეზონში ჩვენს თამაშს აკვირდებოდით, მიხვდებოდით, რომ იმ გუნდებთან, რომლებიც მატჩის სადავეებს გვაბარებენ, თამაში საკმაოდ გვიჭირს. „ბენფიკა“ უკეთ თამაშობს, როცა მოედანზე გაბატონების მსურველ მეტოქეს ხვდება.

— როგორ ემზადებით „ბარსელონასთან“ შესახვედრად?

— ამჟამად უფრო პორტუგალიის ჩემპიონატზე ვფიქრობ. თუ სუპერლიგის მომდევნო მატჩი წავაგეთ, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრა გაგვიჭირდება. რა თქმა უნდა, ყველაფერს თავისი დრო აქვს და „ბარსას“ ამოცანის ამოხსნაზე სულ ცოტა ხანში გადავერთვებით.

— პორტუგალიის თასზე მარცხმა კლუბში სიტუაცია ხომ არ გაართულა?

— სამ დიდ ტურნირში თანაბარი წარმატებით მონაწილეობა ნებისმიერ გუნდს გაუძნელდებოდა. „ლივერპული“ როცა დავამარცხეთ, თავი უძლეველი გვეგონა. ერთი კვირის შემდეგ კი მივხვდით, რომ ეს ასე არ ყოფილა. რა გაეწყობა. ცხოვრებას და ფეხბურთს ასე სჩვევია.

— თქვენი, როგორც ფეხბურთელის და მწვრთნელის კარიერაში „კამპ ნოუს“ მეტოქედ პირველად უბრუნდებით?

— დიახ. „ბარსასთან“ შეხვედრას განსაკუთრებულად ველი, რადგანაც იქ ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. ყოველთვის ბარსელონელი ვიყავი... და ახლა ამ გუნდის დამარცხება მინდა. ცხადია, ყველა კატალონიელი სწორად გამიგებს — ასეთი სამუშაო მაქვს.

— როგორ დახვედრას ელით? უკეთესს, ვიდრე ჟოზე მაურინიუს მოუწყვეს?

— იმედია, მაუსნაირ „გულთბილ“ მასპინძლობას არ გამიწევენ. ყოველთვის „ბარსას“ გულშემატკივარი ვიყავი და ახლაც რიკარდის კლუბს სიკეთეს ვუსურვებ. იმ შემთხვევაში, თუ ვერ გავიმარჯვეთ, ჩემი უდიდესი სურვილი იქნება, თასი „ბარსელონამ“ მოიგოს. ჩვენ თუ დავვამარცხეს, ალბათ ლიგასაც მოიგებენ. კატალონიელებს საუცხოო გუნდი ჰყავთ.

— ეუსებიომ თქვა, „ბარსელონას“ დღევანდელ შემადგენლობას გუნდის ისტორიაში ახალი, დიდი ეპოქის შექმნა შეუძლიაო. თქვენც ასე ფიქრობთ?

— რა თქმა უნდა. „კამპ ნოუზე“ ბრწყინვალე ბიჭები თამაშობენ. თუ „ბარსამ“ მრავალწლიანი წარმატებათა სერია გაახერხა, მე ამაში საკვირველს ვერაფერს ვხედავ.

— „ბარსელონას“ ვარსკვლავებზე ვისაუბროთ...

— ამ გუნდის სიძლიერე ვარსკვლავების ერთმანეთთან შეთანხმებულ მოქმედებაზეა დამოკიდებული. თუმცა „ოსასუნასთან“ ამასწინდელმა შეხვედრამ დაამტკიცა, რომ უძლეველი ამქვეყნად არც „ბარსელონა“ ყოფილა. ჩვენ მეტოქის მცირე სისუსტეებს „ბენფიკას“ სასარგებლოდ გამოვიყენებთ. გაიხსენეთ — პორტუგალიის გარდა არსად არ სჯეროდათ, რომ „ლივერპულის“ დამარცხებას შევძლებდით. „ენფილდზე“ „წითლების“ დამარცხება განთქმულმა „ჩელსიმაც“ ვერ მოახერხა, ჩვენ კი ეს გავაკეთეთ. ვამაყობ, რომ ასეთი გუნდი გვყავს.

— ლიგის კენჭისყრამდე „სპორტმა“ „ბარსელონას“ ინჩასებში გამოკითხვა მოაწყო და უმრავლესობამ სასურველ მეტოქედ „ბენფიკა“ დასახელა. ჩანს, კატალონიელები თქვენს გუნდს ადვილ მეტოქედ მიიჩნევენ...

— არ ვიცი, ვინ როგორ და რას მიიჩნევს, თუმცა „ლივერპულთან“ ჩვენი თამაშები თუ ნახეს, მთლად დამშვიდებულები არ უნდა იყვნენ. აქედანვე გეტყვით — „ბენფიკა“ ადვილად ჩასაყლაპი შოკოლადი არაა, გემოთი წიწაკას უფრო ჰგავს.

— გამართლებული იქნება, დღევანდელი „ბარსელონა“ კუმანის დროინდელ „დრიმ თიმს“ რომ შეეადაროთ?

— ალბათ კი. მათ ჩვენ მსგავსად, წლების განმავლობაში ბევრი ჯილდოს მოპოვება შეუძლიათ. დღევანდელი „ბარსას“ შეფასებას დრო სჭირდება...

— კენჭისყრის მერე მეტოქის წარმომადგენლებს თუ გაესაუბრეთ?

— ჩიკი ბეგირისტაინს დავურეკე. ბევრი ვიხუმრეთ, თუმცა ორივემ ვიცოდით, რა ძნელი ომი მოგველის...

— დემეტრიო ალბერტინის გაცილებაზე მილანურ „დრიმ თიმის“ შემადგენლობაში არ იყავით...

— ლისაბონში პრინციპული შეხვედრა გვქონდა და მილანში ამიტომაც ვერ ჩავედი. ისე კი, ძალიან მინდოდა, ვარსკვლავების თამაშში მიმეღო მონაწილეობა...

ფრანგული „ოსერის“ თავკაცი ჟაკ სანტინი პრესაში გავრცელებული ინფორმაციით გაკვირვებულია და ხელმძღვანელობას ახსნა-განმარტებას სთხოვს. საქმე ის არის, რომ სანტინის კლუბის შეფობასთან ურთიერთობა ცოტა დაეძაბა და აგორდა ჭორები, მას ალან პერინით უპირებენ შეცვლასო — მე დარჩენა მინდა და უკვე ახალ კონტრაქტზეც ჩამოვარდა სიტყვა. გუნდის თავმჯდომარე პამელმა მითხრა, რომ ჩემი მუშაობით კმაყოფილია. ამ ჭორებმა კი გამაკვირვეს და იმედია, უფროსობა ყველაფერს მალე ამოხსნის — განაცხადა სანტინიმ.

ბრაზილიური „ვასკო და გამასა“ და „ფლამენგოს“ მატჩმა დიდი არეულობის ფონზე ჩაიარა. ყველაფერი ვასკოელი მორაისის და ფლამენგოელი დიეგო სოუზას ჩხუბით დაიწყო, რის შემდეგაც მინდორზე პოლიციელები შეცვივდნენ. დაძაბულობა მალევე განიმუხტა და ორივე ფეხბურთელი გააძევეს. თუმცა საფინალო სასტვენის მერე ჩხუბი უკვე ფანებმა გააჩაღეს. „ფლამენგოს“ მოთამაშეები კი მსაჯს დაესივნენ. სამართლდამცავები იძულებულნი გახლდნენ, ცრემლსადენი გაზი გამოეყენებინათ.

ესპანური „ბარსელონას“ მცველები — რაფაელ მარკესი და ედმილსონი — ტრავმების გამო ჩემპიონთა ლიგაში „ბენფიკასთან“ მეოთხედფინალურ მატჩებს გამოტოვებენ. მოგეხსენებათ, პირველ შეხვედრაში დისკვალიფიცირებული კარლეს პუიოლიც არ იქნება, რაც კატალონიელებს დაცვაში საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს შეუქმნით.

ფრანგულ „ლიონს“ ვეტერანი ფორვარდის, სილვენ ვილტორდის შენარჩუნება უნდა. კლუბის პრეზიდენტ ჟან-მიშელ ოლას თქმით, 31 წლის ფეხბურთელთან მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. ვილტორდის მოქმედ შეთანხმებას კლუბთან ვადა სეზონის ბოლოს გასდის.

ლიბიის ეროვნული ნაკრები შესაძლოა ბადუ ზაკიმ ჩაიბაროს. ფეხბურთის ფედერაციამ უკვე დაიწყო მოლაპარაკება მაროკოს ყოფილ თავკაცთან. ლიბიელებს აქამდე ილია ლონჩარევიჩი წვრთნიდა, მაგრამ ხორვატი სპეციალისტი აფრიკის თასზე ნაკრების ცუდი თამაშის გამო დაითხოვეს.

გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი ტორსტენ ფრინგსი და თავდამსხმელი მაიკ ჰანკე აშშ-სთან ამხანაგურ მატჩში ვერ ითამაშებენ. ორივე მათგანს მცირე ტრავმა აწუხებს და, ექიმებს თქმით, მალე მომჯობინდებიან. შეხვედრა კი 22 მარტს დორტმუნდში გაიმართება.

ესპანური „სევილიას“ იტალიელი ლეგიონერი ენცო მარესკა სარეაბილიტაციო კურსს გადის და იმედოვნებს, რომ უეფას თასზე „ზენიტთან“ სათამაშოდ მზად იქნება. „ტრავმას ნელ-ნელა ვიშუშებ. მართალია, ეს დამღლელია, მაგრამ ექიმები მიმედებენ, რომ „ზენიტთან“ მატჩისთვის მწყობრში ვიქნები“ — აღნიშნა ნახევარმცველმა.

სარბიელი ⅌ კრიკეტი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		25 მარტი						
16:45	1	ლივერპული-ევერტონი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
19:00	3	ასტონ ვილა-ფულემი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
19:00	4	ჩელსი-სიტი	1.30	4.50	8.50	1.00	1.12	2.94
19:00	6	სანდერლენდი-ბლეკბერნი	3.85	3.30	1.85	1.77	1.24	1.18
19:00	8	უიგანი-ვესტ ჰემი	2.10	3.00	3.40	1.23	1.29	1.59
21:15	9	პორტსმუთი-არსენალი	4.40	3.50	1.70	1.94	1.22	1.14
		26 მარტი						
17:30	11	მიდლსბრო-ბოლტონი	2.40	3.00	2.85	1.33	1.30	1.46
18:00	12	ჩარლტონი-ნიუკასლი	2.30	3.00	2.95	1.30	1.29	1.48
20:00	13	მანჩესტერი-ბირმინგემი	1.25	5.20	8.50	1.00	1.08	3.22
		27 მარტი						
23:45	15	ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი	1.45	3.90	6.40	1.05	1.18	2.42
		ინგლისი. I ლიგა						
		21 მარტი						
23:45	30	დონკასტერი-კოლჩესტერი	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
23:45	31	უოლსოლი-იოვილი	1.95	3.10	3.50	1.19	1.25	1.64
23:45	564	ბრედფორდი-ბლეკპული	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
23:45	565	ჯილინგემი-ბრენტფორდი	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26
		ინგლისი. II ლიგა						
		21 მარტი						
23:45	44	ბერი-ოქსფორდი	2.20	3.00	3.00	1.26	1.26	1.50
23:45	45	ჩელტენემი-რექსემი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
23:45	566	რონდეილი-ვრიმსბი	2.85	3.10	2.25	1.48	1.25	1.30
23:45	567	ბოსტონი-ნორტჰემპტონი	2.50	3.00	2.60	1.36	1.27	1.39
		ინგლისი. კონფერენსი						
		21 მარტი						
23:45	59	საუთპორტი-აკრინგტონი	5.50	3.60	1.50	2.17	1.17	1.05
23:45	60	უოკინგი-ალდერშოტი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
23:45	568	სკარბორო-კინვი	2.30	3.10	2.80	1.32	1.26	1.47
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		22 მარტი						
23:45	70	სელტიკი-ინვერნესი	1.25	4.50	10.00	1.00	1.11	3.10
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		21 მარტი						
23:30	81	სტრანრარი-როსი	3.60	3.40	1.80	1.74	1.20	1.17
23:45	569	ბრეჩინი-სტ.მირენი	5.50	4.30	1.40	2.41	1.11	1.05
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		21 მარტი						
23:30	87	ეარი-გრეტნა	8.00	5.00	1.25	3.07	1.08	1.00
23:30	88	დამბარტონი-ალოა	1.65	3.60	4.00	1.13	1.16	1.89
23:30	89	პიტერჰედი-ფორფარი	1.55	3.70	4.80	1.09	1.17	2.08
23:30	90	რეითი-პარტიკი	2.50	3.40	2.30	1.44	1.19	1.37
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		21 მარტი						
23:30	96	ალბიონი-ქუინზ პარკი	4.00	3.60	1.65	1.89	1.16	1.13
23:30	97	არბროთი-მონტროუზი	1.55	3.70	4.80	1.09	1.17	2.08
23:30	98	კოუდენბითი-ისტ ფაიფი	1.50	3.80	5.00	1.07	1.15	2.15
23:30	99	ისტ სტირლინგ-სტენჰაუზმური	5.70	4.20	1.40	2.41	1.12	1.04
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		25 მარტი						
18:30	105	არმინია-ნიურნბერგი	2.10	3.10	3.30	1.25	1.28	1.59
18:30	106	დუისბურგი-ბაიერნი	5.80	3.50	1.55	2.18	1.22	1.07
18:30	108	ჰამბურგი-დორტმუნდი	1.70	3.40	4.40	1.13	1.22	1.91
18:30	110	ლაუტერნი-გლადბახი	2.35	3.10	2.80	1.33	1.27	1.47
18:30	112	კოლნი-აინტრახტი	2.45	3.10	2.70	1.36	1.28	1.44
18:30	113	მაინცი-ჰერტა	2.60	3.10	2.50	1.41	1.27	1.38
18:30	114	შალკე-ვოლფსბურგი	1.45	3.70	6.70	1.04	1.19	2.38
18:30	116	შტუტგარტი-ლევერკუზენი	2.00	3.20	3.45	1.23	1.26	1.66
18:30	117	ვერდერი-ჰანოვერი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)						
		21 მარტი						
22:30	129	ქემნიცი-კილი	3.80	3.30	1.75	1.76	1.19	1.14
22:30	130	ლიუბეკი-ზტ.პაული	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
22:30	131	მიუნსტერი-ჯენა	2.65	3.20	2.30	1.44	1.23	1.33
22:30	132	ვუპერტალი-ვატენშეიდი	1.80	3.20	3.75	1.15	1.21	1.72
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		22 მარტი						
22:30	570	ადმირა-მატერსბურგი	1.90	3.10	3.85	1.17	1.27	1.71
		ავსტრია. I დივიზიონი						
		21 მარტი						
22:00	157	კუფშტაინი-შვანენშტადტი	2.30	3.10	2.80	1.32	1.26	1.47
22:00	158	ლეობენი-კერნტენი	2.60	3.10	2.40	1.41	1.24	1.35
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		22 მარტი						
22:30	164	ბაზელი-აარაუ	1.25	5.00	8.50	1.00	1.08	3.14
22:30	166	შაფჰაუზენი-იანგ ბოიზი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
22:30	168	თუნი-გრასჰოპერი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
22:30	169	ივერდონი-სტ.ვალენი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
22:30	170	ციურიხი-ქსამაქსი	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		21 მარტი						
23:45	239	ბარსელონა-ხეტაფე	1.20	5.50	12.00	1.00	1.09	3.77
		22 მარტი						
23:00	241	ალავესი-სელტა	2.50	3.10	2.70	1.38	1.29	1.44
23:00	242	ბილბაო-ესპანიოლი	2.05	3.10	3.50	1.23	1.29	1.64
23:00	243	ბეტისი-რასინგი	2.00	3.20	3.60	1.23	1.28	1.69
23:00	244	დეპორტივო-მალაგა	1.55	3.50	6.00	1.07	1.23	2.21
23:00	246	მალიორკა-კადისი	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
23:00	247	ოსასუნა-სოსიედადი	1.65	3.30	5.50	1.10	1.26	2.06
23:00	249	ვალენსია-ვილიარეალი	1.75	3.20	4.70	1.13	1.27	1.90
23:45	250	სარაგოსა-რეალი	3.50	3.20	2.00	1.67	1.27	1.23
		23 მარტი						
23:45	252	ატლეტიკო-სევილია	1.95	3.20	3.70	1.21	1.27	1.71
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		22 მარტი						
23:30	265	ხუმანსია-ჰერკულესი	1.85	2.90	4.40	1.12	1.30	1.74
		იაპონია						
		21 მარტი						
09:00	459	კაშიმა-კოფუ	1.60	3.40	4.60	1.08	1.18	1.95
10:00	460	ნიიგატა-იკატა	2.30	3.10	2.60	1.32	1.22	1.41
10:00	461	ოიტა-იოკოჰამა	2.60	3.10	2.30	1.41	1.22	1.32
10:00	462	შიმიცუ-იჩიჰარა	2.10	3.20	2.90	1.26	1.21	1.52
10:00	463	ურავა-ჩერეიმო	1.55	3.60	4.70	1.08	1.16	2.03
11:00	464	კავასაკი-ტოკიო	1.80	3.20	3.60	1.15	1.20	1.69
14:00	465	კუიტო-ჰიროსიმა	2.45	3.10	2.45	1.36	1.22	1.36
		ამხანაგური მატჩები						
		22 მარტი						
23:45	518	გერმანია-აშშ	1.60	3.20	5.40	1.06	1.23	2.00
		ინგლისი. თახი						
		21 მარტი						
23:45	519	ბირმინგემი-ლივერპული	4.80	3.40	1.65	1.99	1.22	1.11
		22 მარტი						
23:45	521	ჩელსი-ნიუკასლი	1.25	4.50	10.00	1.00	1.11	3.10
		23 მარტი						
23:45	520	ჩარლტონი-მიდლსბრო	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. თასი						
		22 მარტი						
23:45	522	ინტერი-უდინეზე	1.28	4.70	8.50	1.00	1.11	3.02
23:45	523	პალერმო-რომა	2.35	3.10	2.80	1.33	1.27	1.47
		საფრანგეთი. თასი						
		21 მარტი						
23:00	525	ნანტი-დიჟონი	1.55	3.50	5.80	1.07	1.22	2.18
23:45	526	ლიონი-ბასტია	1.25	4.80	9.00	1.00	1.09	3.13
		22 მარტი						
23:00	524	მონპელიე-ბორდო	4.00	3.20	1.85	1.77	1.26	1.17
20:00	527·	მარსელი-სოშო	1.65	3.30	5.20	1.10	1.25	2.01
		ბელგია. თასი						
		22 მარტი						
23:30	528	შარლერუა-მუსკრონი	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
23:30	529	სტანდარდი-ვარეგემი	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
		ჰოლანდია. თასი						
		22 მარტი						
22:00	530	პსვ-ალკმაარი	1.65	3.50	4.30	1.12	1.19	1.92
23:45	531	აიაქსი-როდა	1.35	4.00	7.00	1.00	1.13	2.54
		საბერძნეთი. თასი						
		22 მარტი						
21:00	533	ოლიმპიაკოსი-ოლიმპია	1.20	5.20	9.00	1.00	1.05	3.29
		თურქეთი. თასი						
		21 მარტი						
22:00	534	კაისერი-ბეშიქთაში	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
		22 მარტი						
18:00	535	სამსუნი-დენიზლი	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
22:00	536	გალათასარაი-ფენერბაჰჩე	2.25	3.30	2.70	1.33	1.22	1.48
		23 მარტი						
22:00	537	გაზიანთეფი-მალათია	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		რუსეთი. თასი						
		22 მარტი						
19:00	560	რუბინი-ცსკა	2.90	3.10	2.20	1.40	1.25	1.28
19:00	561	სატურნი-დინამო	2.60	2.90	2.60	1.37	1.29	1.37
19:00	562	სპარტაკი-ლოკომოტივი	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
21:00	563	ზენიტი-ტორპედო	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
		პოლონეთი. თასი						
		22 მარტი						
23:00	546	ლეხი-პლოცკი	1.60	3.20	5.40	1.06	1.23	2.00
		ლიბერტადორესის თასი						
		21 მარტი						
23:45	547	ესტუდიანტესი-ინდეპენდიენტე	1.60	3.40	4.65	1.08	1.19	1.96
23:45	548	უნ.კატოლიკა-დეპორტივო	1.70	3.30	4.30	1.12	1.21	1.86
23:45	549	ჩივასი-სან პაულუ	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		22 მარტი						
23:45	550	ინტერნასიონალი-პუმასი	1.30	4.50	7.50	1.00	1.10	2.81
23:45	551	ნიუელზი-გოიასი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
23:45	552	კორინთიანსი-ტიგრესი	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
23 მარტი								
23:45	553	ლიბერტადი-ნასიონალი	1.55	3.30	5.50	1.05	1.20	2.06
23:45	554	როსარიო-პალმეირასი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
23:45	555	ატლეტიკო ნას.-სერო	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
		ჰოკეი. ჩეხეთი. 21 მარტი						
20:00	663	ზლინი-სპარტა	2.00	4.20	2.30	1.35	1.06	1.48
20:00	664	ვიტკოვიცე-ზნოიმო	1.85	4.20	2.50	1.28	1.06	1.56
		ჰოკეი. გერმანია						
		21 მარტი						
22:30	678	კიოლნი-ნიურნბერგი	1.65	4.30	3.00	1.19	1.06	1.76
22:30	679	კრეფელდი-აისბარენი	2.40	4.20	1.80	1.52	1.02	1.25
22:30	680	ჰანოვერი-ინგოლშტადი	2.10	4.20	2.20	1.39	1.07	1.44
22:30	681	ჰამბურგი-დიუსელდორფი	1.90	4.20	2.50	1.30	1.07	1.56

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10239	ბარსელონა-ხეტაფე	1.35	3.00	8.00	1.00	1.15	2.18
10241	ალავესი-სელტა	2.90	2.00	3.20	1.18	1.52	1.23
10242	ბილბაო-ესპანიოლი	2.45	2.00	4.00	1.10	1.51	1.33
10243	ბეტისი-რასინგი	2.45	2.00	4.00	1.10	1.51	1.33
10244	დეპორტივო-მალაგა	1.85	2.30	5.50	1.02	1.38	1.62
10246	მალიორკა-კადისი	2.35	2.00	4.40	1.08	1.53	1.37
10247	ოსასუნა-სოსიედადი	1.90	2.20	5.50	1.01	1.41	1.57
10249	ვალენსია-ვილიარეალი	2.10	2.00	5.00	1.02	1.47	1.42
10250	სარაგოსა-რეალი	4.10	2.00	2.45	1.34	1.53	1.10
10252	ატლეტიკო-სევილია	2.35	2.00	4.40	1.08	1.53	1.37

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11239	ბარსელონა-ხეტაფე	1.40	15.00	35.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11241	ალავესი-სელტა	3.70	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11242	ბილბაო-ესპანიოლი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11243	ბეტისი-რასინგი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11244	დეპორტივო-მალაგა	2.10	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11246	მალიორკა-კადისი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.50
11247	ოსასუნა-სოსიედადი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11249	ვალენსია-ვილიარეალი	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11250	სარაგოსა-რეალი	5.00	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.10
11252	ატლეტიკო-სევილია	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12239 ბარსელონა-ხეტაფე ---------------------- 1.50 --- 2.30
12241 ალავესი-სელტა ---------------------- 1.70 --- 1.90
12242 ბილბაო-ესპანიოლი ---------------------- 1.70 --- 1.90
12243 ბეტისი-რასინგი---------------------- 1.70 --- 1.90
12244 დეპორტივო-მალაგა ---------------------- 1.70 --- 1.90
12246 მალიორკა-კადისი ---------------------- 1.70 --- 1.90
12247 ოსასუნა-სოსიედადი ---------------------- 1.70 --- 1.90
12249 ვალენსია-ვილიარეალი ---------------------- 1.70 --- 1.90
12250 სარაგოსა-რეალი ---------------------- 1.90 --- 1.70
12252 ატლეტიკო-სევილია ---------------------- 1.70 --- 1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13239 ბარსელონა-ხეტაფე ---------------------- 1.90 --- 1.55
13241 ალავესი-სელტა ---------------------- 1.70 --- 1.90
13242 ბილბაო-ესპანიოლი ---------------------- 1.70 --- 1.90
13243 ბეტისი-რასინგი ---------------------- 1.70 --- 1.90
13244 დეპორტივო-მალაგა ---------------------- 1.90 --- 1.60
13246 მალიორკა-კადისი ---------------------- 1.70 --- 1.90
13247 ოსასუნა-სოსიედადი ---------------------- 1.90 --- 1.70
13249 ვალენსია-ვილიარეალი ---------------------- 1.70 --- 1.90
13250 სარაგოსა-რეალი ---------------------- 1.70 --- 1.90
13252 ატლეტიკო-სევილია ---------------------- 1.70 --- 1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14239 ბარსელონა-ხეტაფე ---------------------- 1.05 --- 2.80
14241 ალავესი-სელტა ---------------------- 1.85 --- 1.95
14242 ბილბაო-ესპანიოლი ---------------------- 1.65 --- 2.10
14243 ბეტისი-რასინგი ---------------------- 1.65 --- 2.10
14244 დეპორტივო-მალაგა ---------------------- 1.25 --- 2.40
14246 მალიორკა-კადისი ---------------------- 1.60 --- 2.20
14247 ოსასუნა-სოსიედადი ---------------------- 1.30 --- 2.50
14249 ვალენსია-ვილიარეალი ---------------------- 1.40 --- 2.40
14250 სარაგოსა-რეალი ---------------------- 2.10 --- 1.65
14252 ატლეტიკო-სევილია ---------------------- 1.65 --- 2.10

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15239	ბარსელონა-ხეტაფე	3.00	2.80	2.00
15241	ალავესი-სელტა	3.00	2.80	2.00
15242	ბილბაო-ესპანიოლი	3.00	2.80	2.00
15243	ბეტისი-რასინგი	3.00	2.80	2.00
15244	დეპორტივო-მალაგა	3.00	2.80	2.00
15246	მალიორკა-კადისი	3.00	2.80	2.00
15247	ოსასუნა-სოსიედადი	3.00	2.80	2.00
15249	ვალენსია-ვილიარეალი	3.00	2.80	2.00
15250	სარაგოსა-რეალი	3.00	2.80	2.00
15252	ატლეტიკო-სევილია	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16239 ბარსელონა-ხეტაფე ---------------------- 1.05 --- 5.50
16241 ალავესი-სელტა ---------------------- 1.60 --- 1.90
16242 ბილბაო-ესპანიოლი ---------------------- 1.35 --- 2.40
16243 ბეტისი-რასინგი ---------------------- 1.35 --- 2.40
16244 დეპორტივო-მალაგა ---------------------- 1.15 --- 3.85
16246 მალიორკა-კადისი ---------------------- 1.30 --- 2.55
16247 ოსასუნა-სოსიედადი ---------------------- 1.22 --- 3.00
16249 ვალენსია-ვილიარეალი ---------------------- 1.30 --- 2.80
16250 სარაგოსა-რეალი ---------------------- 2.30 --- 1.35
16252 ატლეტიკო-სევილია ---------------------- 1.30 --- 2.55

გოლი:წყვილი-1ლუ კენტი-2.
(0:0 ითვლება წყვილად)

17239 ბარსელონა-ხეტაფე ---------------------- 1.85 --- 1.95
17241 ალავესი-სელტა ---------------------- 1.85 --- 1.95
17242 ბილბაო-ესპანიოლი ---------------------- 1.85 --- 1.95
17243 ბეტისი-რასინგი ---------------------- 1.85 --- 1.95
17244 დეპორტივო-მალაგა ---------------------- 1.85 --- 1.95
17246 მალიორკა-კადისი ---------------------- 1.85 --- 1.95
17247 ოსასუნა-სოსიედადი ---------------------- 1.85 --- 1.95
17249 ვალენსია-ვილიარეალი ---------------------- 1.85 --- 1.95
17250 სარაგოსა-რეალი ---------------------- 1.85 --- 1.95
17252 ატლეტიკო-სევილია ---------------------- 1.85 --- 1.95

NBA რეგულარული ჩემპიონატი

მუშა-ცხენობიდან ვარსკვლავობამდე



ზაზამ ყველას მოუხსნა

19 მარტი

ატლანტა 108:107 ორლანდო

ძირითადი დრო 96:96

ატლანტა: აივი (2), ჯონსონი (40 ქულა, 11 პასი), სმიტი (15 ქულა, 10 მოხსნა), ჰარინგტონი (24), ფაჩულია (48 წუთი, 13 ქულა, 18 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება); ჩილდრესი (6), უილამსი (6), სტუდემაიერი (2), ედვარდსი

ორლანდო: ნელსონი (18), სტივენსონი (10), თურქოღლუ (16), ჰოვარდი (13 ქულა, 15 მოხსნა), ბათი (14); დულინგი (12), არიოო (10), არიზა (10), მილიჩიჩი (4), აუთლოო



სულ აიწყვიტა ზაზა ფაჩულიამ. „ატლანტას“ ქართველი ცენტრი პირად რეკორდებს აღარ სჯერდება და საყოველთაოებს უტეევს. გუშინ გამთენიისას ზაზამ ნბა-ში თავის პირველ გუნდ „ორლანდო მეჯიქს“ მისსავე ფარზე 12 ბურთი მოუხსნა და ამ სეზონის რეკორდი გამოაცხო — 2005-06 წლების რეგულარულ ჩემპიონატში მეტოქის ფარზე ამდენი ბურთი ჯერ არავის მოუპოვია და ამ მიღწევით ფაჩულიამ კიდევ უფრო გაიმყარა შეტევაში ერთ-ერთი საუკეთესო მომხსნელის რეპუტაცია. მანამდე ეს რეკორდი ჩიკაგოელ ტაისონ ჩანდლერს ეკუთვნოდა, ვინაც იანვარში ვაშინგტონელებს მათსავე ფარზე 11 ბურთი აართვა.

„ორლანდოსთან“ ზაზას სულ 18 მოხსნა მოუგროვდა, რითაც ორი დღის წინ „იუტასთან“ დამყარებული პირადი რეკორდი 3 მოსხნით გაუმჯობესა. სათქმელია, რომ ზაზას ნბა-ს ერთ-ერთ გამორჩეულ მომხსნელთან დუაიტ ჰოვარდთან უწევდა ბრძოლა.

თრილერივით მატჩი გამოვიდა და ზაზაც თითქმის მთელი შეხვედრა მოვლენების ეპიცენტში იყო — ოვერტაიმიანად 48 წუთი ითამაშა და „ატლანტასაც“ პირადად მოუტანა გამარჯვება. — ოვერტაიმის დასრულებამდე 2,4 წამით ადრე თავისი გუნდის ლიდერ ჯო ჯონსონის აცილებული მოსხნა და „ორლანდოს“ კალათში ჩააბრუნა.

„ჯოო რომ დააპირა სროლა, შევნიშნე, მის წინ სამი მოწინააღმდეგე აღიმართა და ერთ-ერთი ჩემი კაცი იყო. ამიტომ ფარქვეშ მე უკეთეს პოზიციაზე აღმოვჩნდი... მას რომ ჩაეგდო, ისეთივე ბედნიერ ვიქნებოდი, როგორიც ახლა ვარ“ — ამბობს ფაჩულია, რომელსაც, როგორც მეფარეს, არცთუ ხშირად ეძლევა გადამწყვეტი ბურთის ტყორცნის შანსი.

გადასარევად ითამაშა ჯო ჯონსონმა, ამ სეზონში მან მესამედ უწია 40-ქულიან თამასას, თანაც 5 სროლიდან 5-ვე სამქულიანი ჩაგდო. მაგრამ ასეთი ქულუხვობის მიუხედავად, თანგუნდელებსაც დაუზარლად აძლია პასები — 11 მოუგროვდა კიდეც.

მაგრამ ნამატჩევ კომენტარებში „ატლანტას“ თავკაც მაიკ ვუდსონის ქება ჯონსონზე მეტად ფაჩულიას ერგო და დამსახურებულადაც. ვნახოთ, რას ამბობს ვუდსონი ჩვენებურზე — „ფაჩულია მთელი წელი ჩვენი „მუშა-ცხენია“. ასე ვიტყოდი, რომ ის ჩვენი უძვირფასესი მოთამაშეა, რადგან ერთადერთი დიდი კაცი გვყავს და მგონი, ცუდადაც არ ვთამაშობთ ფარქვეშ. ის ასრულებს მთელ შავ სამუშაოს. ისე, ხშირად ვუყვირი, იმიტომ, რომ ეს ბიჭი ძალიან მჭირდება.“

ჩვენ კი დავთვალოთ — ბოლო დროს, უფრო ზუსტად კი უკანასკნელ სამ თამაშში ფაჩულიამ, მგონი, იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე წინა ათიოდ შეხვედრაში. ამ სამ მატჩში ზაზა საშუალოდ 19,3 ქულას და 14 მოსხანას იხვეჭს. მას რომ მთელი სეზონი ასევე შედეგიანი ჰონდეს, „ატლანტას“ პლეი ოფში გაიყვანდა, თავად კი ოლ სტარშიც მოხვდებოდა და რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ სულ ცოტა, ნბა-ს მეორე სიმბოლურ ხუთეულშიც შეიყვანდნენ კალათბურტზე მწერალ-მოსაუბრენი.

კოტე ყორმია

ნიუ ჯერსი 100:89 დალასი
ვაშინგტონი 113:104 ჩიკაგო
მემფისი 90:84 იუტა
ნიუ იორკი 100:111 მაიამი
გ. სტეიტი 98:89 ფილადელფია
მინესოტა 95:89 საკრამენტო
ინდიანა 88:103 ბოსტონი
კლივლენდი 96:95 ლეიკერსი

არაევროპული კვირა ბარსას ლეჩე ლენჩი ეგონა

ეს ის გამონაკლისი შვიდდღიურია, როცა ევროპაში მობურთალმა ლეგიონერებმა თავი ბევრით ვერაფრით გამოიჩინეს და კვირის საუკეთესო ლეგიონერად ზაზა ფაჩულიას ვასახელებთ. ისე, კი ჩაგდო შემონდ უილიამსმა 16 ქულა და 6 პასიც ჩამოარიგა, მაგრამ ორი ამდენიც რომ გაეხერხებინა, ფაჩულიას მაინც ვერ გავუტოლებთ — სად ესპანეთის ჩემპიონატი და სად ნბა, სადაც ქართველმა ცენტრმა პირადსარეკორდო 26 ქულა გამოჭედა.

ფაჩულიას ამ ბარაქიან მონავარს მხოლოდ ის თუ უკარგავს ბრწყინვალებას, რომ „ატლანტამ“ ეს მატჩი წააგო. „ქორების“ ჯახი კი მათი კალიბრის “ნიუ იორკთან“ მართლაც შთამბეჭდავი იყო. შეხვედრა ოვერტაიმში გადაიზარდა და ატლანტელთა დამარცხებით დასრულდა. თუმც ეს რიგითი მარცხი ბევრს დაავიწყდება, ფაჩულიას 26 ქულა კი, სანამ თავადვე არ გააუმჯობესებს, ატლანტელთა ქომაგებს კარგა ხანს ემახსოვრებათ.

ქულათა რეკორდი ჯერ არ გაციებულიყო, ფაჩულიამ მოხსნების რეკორდიც რომ გაიუმჯობესა. სამწუხაროდ, ამჯერადაც წაგებული გამოვიდა ზაზა მოედნიდან, მაგრამ „იუტასთან“, ღონიერი მეფარეების გუნდთან მოხსნილი 15 ბურთიც არაა ურიგო შედეგი, მაგრამ თურმე ჯერ სად ხარ...

ფაჩულიამ მომდევნო მატჩშივე გააუმჯობესა მოსხნების პირადი რეკორდი, როცა თავის პირველ ნბაურ გუნდ „ორლანდოს“ 18-ჯერ მოუხსნა ბურთი, მაგრამ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ამის შესახებ გვერდის თავში წაიკითხავდით.

ფაჩულიას რეკორდებით განებივრებულებს ლამის გამოგვეპარა ნიკა ცქიტიშვილის პატარა რეკორდი. რაც „ფინიქსში“ გადავიდა, „ცქიტოს“ 5 ქულა არ ჩაეგდო, ეს კი მან „ლოს ანჯელეს კლიპერსთან“ მოახერხა, როცა მაიკ დანტონიმ მაშინ შეუშვა მოედანზე, როცა ფინიქსელებს გამარჯვება გაენაღდებინათ. წინა კვირის დანარჩენ ორ მატჩს კი ნიკამ სათადარიგოთა სკამიდან უყურა.

ევროპაში გადმოვინაცვლოთ, სადაც, უკვე ვთქვით, ჩვენიანებს თავი არ გამოუჩენიათ. სხვებზე შედეგიანი კვლავ შემონდ უილიამსი იყო, ვისი ქულუხვობაც არავისთვისაა გასაკვირი, ისეთი წარსული უმაგრებს ზურგს. უილიამსი „ჩიკაგოებთან“ და „დეტროიტებთან“ ბრძოლებში იწრთობოდა წლების განმავლობაში და ვიღაც პრიმერადივიზიონელ „ლეჩეს“ რომ 16 ქულას ჩაუგდებს, სულაც არაა უჩვეულო. ისე კი, ეს „ლეჩე“ დიდი კერკეტი გუნდი გამოდგა, რაკი „ბარსას“ კატალონიაში ისე ეურჩა, ბრძოლა ოდენ კინკილა ქულით დაუთმო.

სხვა ისეთი არაფერი: ბოისა — 9 ქულა, მარკოიშვილი — 2, ლიტვაში მობურთალებმაც თავის ჭია თუ გაახარეს და აი, გიო ცინცაძესაც მივადექით, ვინაც რუსული „დინამოს“ მაისურით ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივს“ 14 წუთში 8 ქულა „მიართვა“ და ზედ 3 პასიც მოაყოლა. ეს კი გამოსარჩევი ამბავია, რაკი „დინამო“ ევროგრანდებში ტრიალებს, ცინცაძე კი მხოლოდ 19 წლისაა და თანაც ქართველი — გამოამაშებლი კი ლამისაა, თითებზეც არ ჩამოგვეთვალოს.

ირაკლი პერტაია

ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	ტურნირი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ
ვლადიმერ ბოისა	სიენა	სერია A	მილანი	ს	73:86	20	9	3	0
მანუჩარ მარკოიშვილი	ოლიმპია	ადრიატიკის ლიგა	ჰელიოსი	შ	77:85	19	2	2	0
დავით უგრეხელიძე	პივოვარნა	ადრიატიკის ლიგა	ვოივოდინა	ს	78:100	არ უთამაშია			
სერგო ათუაშვილი	ბარეირენშე	პორტუგალიის ჩემპ.	მადეირა	ს	55:75	არ უთამაშია			
შემონდ უილიამსი	ბარსელონა	ევროლიგა ესპანეთის ჩემპ.	ჟალგირისი ლეჩე	შ შ	81:69 80:79	33 31	10 16	2 4	5 6
ვახტანგ ნაცვლიშვილი	დიჟონი	საფრანგეთის ჩემპ.	ტულონი	შ	78:81	არ უთამაშია			
გიორგი ცინცაძე	დინამო (მოს)	რუსეთის სუპერლიგა	ლოკომოტივი	შ	90:82	14	8	0	3
ტატო ვაშაკიძე	პასვალიო	ლიტვის A ლიგა	პრიენა ჰუნტუკასი	შ შ	85:82 79:77	6 18	2 7	0 1	0 3
ლევან შენგელია	აკადემია	ლიტვის A ლიგა	კლაიპედა ალიტა	შ ს	77:75 86:89	3 14	0 6	1 2	0 2
ზაზა ფაჩულია	ატლანტა	NBA რეგულარული ჩემპ.	მილუოკი ნიუ იორკი იუტა	შ ს შ	87:88 117:121 101:111	33 49 38	2 26 19	7 9 15	0 4 1
ნიკა ცქიტიშვილი	ფინიქსი	NBA რეგულარული ჩემპ.	სიეტლი კლიპერსი სან ანტონიო	ს. შ ს	129:120 126:95 102:108	არ უთამაშია 5	1	5	1 2 1 0 არ უთამაშია

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი. კაცები. საპრიზო 3 169 600 $

მხიარულმა როჯერმა ბლეიკი გააშავა

ფინალი

როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 1) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 12) — 7:5 6:3 6:0

როჯერ ფედერერმა დაამტკიცა, რომ ორი კვირი წინ დუბაის ფინალში რაფაელ ნადალთან მარცხი დიდწილად შემთხვევითობა იყო. ამ წაგებისა და ინდიან უელსში საწყისი მატჩების შემდეგ რას აღარ აბრალებდნენ „მხიარულ როჯერს", ცუდი ფიზიკური ფორმიდან დაწყებული, მოტივაციის დაკარგვით დამთავრებული. თუმც მისი ბოლო თამაშების შემდეგ კრიტიკოსები, ალბათ, კარგა ხნით მიჩუმდებიან.

ჯეიმს ბლეიკი კი ამ ფინალის შემდეგ მიხვდებოდა, რომ ფედერერთან შეხვედრისას ძალები მთელ მატჩზე თანაბრად უნდა გაანაწილო და ბოძებული შანსები მაქსიმალურად გამოიყენო, თორემ შვეიცარიელი აუცილებლად დაგსჯის.

ამერიკელმა, მართლაც, ძალიან კარგად დაიწყო ფინალი და თავისი აგრესიული თამაშით მეტოქე, გარკვეულწილად, დააბნია კიდეც. პირველ სეტში მან ფედერერს ორი ბრეიკი გაუკეთა და მალე 4:1 დაწინაურდა. თუმც შვეიცარიელი პანიკაში არ ჩავარდნილა, ის წყნარად დაელოდა ამერიკელის შეცდომებს და გამოიყენა კიდეც.

ამის შემდეგ ბლეიკმა მეორე სეტშიჭ ცოტაც გაიბრძოლა და ამით ყველაფერიც მორჩა — ფედერერმა წლეულს მესამე ტურნირი მოიგო, მოგებათა რაოდენობა კი 22-მდე აიყვანა.

„როცა ვაგებდი, ვიცოდი, რომ პანიკის საფუძველი არ იყო. მე დარწმუნებული ვარ ჩემს შესაძლებლობებში. ახლა მართლა ძალიან კარგ ფორმაში ვარ... ჯეიმსმა, მართლაც, ჩინებულად დაიწყო, მაგრამ მე უკეთესად შევძელი მისი შეცდომების გამოყენება... მძიმე ბრძოლას ველოდი და თავიდან მეგონა, კორტზე დიდი ხნის გატარება მომიწევდა, თუმც, საბედნიეროდ, ყველაფერი მაინც იოლად დასრულდა" — განაცხადა მატჩის შემდეგ ფედერერმა, რომელმაც ინდიან უელსში უკვე ზედიზედ მესამედ იმარჯვა.

„ძალიან თვითდაჯერებულია, მისი წყობიდან გამოყვანა თითქმის შეუძლებელია. მაინც თავის თამაშს აჩვენებს ნებისმიერ დროს... მე კი იმის მაგივრად, რომ ცოტა უფრო დაკვირვებით მეთამაშა, რამდენჯერმე ვიჩქარე და დავისაჯე კიდეც... მიუხედავად ყველაფრისა, ეს, მართლაც, ძალიან კარგი კვირა იყო, აქ მშვენივრად ვითამაშე" — დამწუხრებულმა ბლეიკმა მაინც ოპტიმისტურ ნოტაზე დაამთავრა ჟურნალისტებთან საუბარი.

კახა ლომაშვილი

AFP ინდიან უელსიდან

ღმერთო, მე ისევ დავფრინავ!

ფედერერმა ფრთები გამოისხა

ფედერერმა ინდიან უელსში ზედიზედ მესამედ იმარჯვა, წლეულს კი უკვე მესამე ტურნირი მოიგო, რითაც დაამტკიცა, რომ მის ცუდ ფორმაზე საუბარი თითიდანაა გამოწოვილი — „მხიარული როჯერი" კვლავაც ყველა ტურნირის უმთავრეს ფავორიტად უნდა ჩაითვალოს. ნამატჩევს როჯერს ჟურნალისტი ამ ტურნირზე მის გამოსვლასთან ერთად ზოგად თემებზე გაესაუბრა

AFP ინდიან უელსიდან

ჯეიმს ბლეიკი: ფედერერთან შედარებით ჩვენ ყველანი სადღაც ქვევით ვართ

— სამჯერ ზედიზედ! როგორი გრძნობაა?

— მშვენიერი. მით უმეტეს, რომ მძიმე ბრძოლა იყო. თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ბოლოსკენ, უბრალოდ, ფანტასტიკური ჩოგბურთი ვითამაშე. ახლა, მგონი, მართლაც, კარგ ფორმაში ვარ.

— პირველი სეტის დასაწყისში რიტმის პოვნა გაგიჭირდათ?

— არა, უბრალოდ, ის ჩემზე უკეთესად თამაშობდა. კარგად ურტყამდა ფორჰენდებს და ბევრს მარბენინებდა. ასე მე ვთამაშობ ხოლმე. ფაქტობრივად, ჩემივე „წამალი" დამალევინა. მე კი ცუდად არ ვთამაშობდი, ამიტომაც პანიკის საფუძველი არ იყო. უბრალოდ, ჩემს შანსს დაველოდე და გამოვიყენე კიდეც.

— თქვენი აზრით, რომელი ეპიზოდი იყო გადამწყვეტი?

— როცა პირველ სეტში მეორე ბრეიკი გავაკეთე და ანგარიში გავათანაბრე, ვიფიქრე, მისთვის ამის გადატანა იოლი არ იქნება-მეთქი.

— როცა 1:4-ს აგებდით, იფიქრეთ თუ არა, რომ მინიმუმ ოთხი სეტის ჩატარება მოგიწევდათ?

— ნამდვილად ვიფიქრე, რომ კორტზე დიდი ხნის გატარება მომიწევდა.

— როგორ ფიქრობთ, მას შესწევდა უნარი, საწყისი ხუთი გეიმის თამაშის დონე ოთხი ან ხუთი სეტის განმავლობაში ეჩვენებინა?

— იმ თამაშით მას არ დასჭირდებოდა ოთხი ან ხუთი სეტი, სამშიც თავისუფლად მომიგებდა.

— თქვენ ძალიან კარგად ითამაშეთ ბლეიკის მოწოდებებზე. ამაზე რას იტყვით?

— ვიცოდი, რომ მოწოდებები მისი ძლიერი მხარეა. რამდენიმე თვის წინ ცინცინატიში ვეთამაშე და მაშინ მისმა მოწოდებამ ძალიან გამაწამა. ამიტომ დღეს ძალიან დაკვირვებული ვიყავი, პირველი მოწოდებისას უკან ვიხევდი, რომ უფრო იოლად მიმეღო ბურთი და კორტში ღრმად ვაბრუნებდი, რაც გაამართლა კიდეც. ამან ჩემი წარმატება დიდად განაპირობა კიდეც.

— თქვენ სულ უფრო და უფრო მეტ ტურნირს იგებთ. მნიშვნელობის მიხედვით თუ ახარისხებთ მათ?

— არ შეიძლება გამარჯვებების შედარება. ჩემთვის ყველა წარმატება ძვირფასია. მაგალითად, აქ გამარჯვება, როცა სეზონი ახალი დაწყებულია და თან მასტერსის პირველი ტურნირია, ჩემთვის, მართლაც, ძალიან ბევრს ნიშნავს. ხანდახან კმაყოფილების გრძნობა გვიან მოდის და შეიძლება, რამდენიმე თვის მერე გავიფიქრო — „ინდიან უელსში, მართლაც, კარგად ვითამაშე, კარგი კვირა მქონდა". ასე რომ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ცოტა ძნელია.

— ხშირად ფიქრობთ „დიდი მუზარადის" მოგებაზე?

— კიც და არაც. ისე, „როლან გაროსზე" (საფრანგეთის ღია პირველობა) თუ მოვიგე, გარკვეულწილად, „დიდ მუზარადს" მოვიგებ კიდეც, ვინაიდან ასე მისი ოთხივე ტურნირი ზედიზედ მოგებული მექნება. მართალია, ერთი წლის ფარგლებში არა, მაგრამ მაინც. თუმც მე, კონკრეტულად, „როლან გაროსის" მოგებაზე უფრო ვფიქრობ. იმედი მაქვს, წლეულს პარიზში კარგად გამოვალ.

— შეგიძლიათ, გვითხრათ, ფინალებში რის ხარჯზე აბერხებთ ასეთი თამაშის ჩვენებას. აქ ხომ ყოველთვის დიდი ზეწოლაა. კარგი თამაში თვითრწმენის დამსახურებაა?

— უფრო გამოცდილების. გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. შეჩვეული ხარ ამ ზეწოლას, იცი, რომ ყველა ფინალში არის რთული მომენტები და იცი, როგორ გაუმკლავდე მათ. ეს წლების განმავლობაში ვისწავლე და შევიძინე და ახლა წარმატებითაც ვიყენებ.

— როცა ეს რთული მომენტი დგება, თუ აანალიზებთ მომავალ კომბინაციებს და ეძებთ მოგების გზებს?

— დიახ, ნამდვილად ასეა. ვცდილობ, რომ ემოციებს არ ავყვე, არც სიხარულს და არც სიბრაზეს. ყოველთვის ვაკონტროლებ თავს, ვფიქრობ, როგორ უნდა ვითამაშო, რა ხდება კორტზე და რა უნდა გავაკეთო. ეს ჩემი სიძლიერეა.

— თქვენ რამდენიმე ექსტრაორდინალური დარტყმა შეასრულეთ. ხანდახან არ ფიქრობთ დაახლოებით ასეთ რამეს: „ღმერთო, მე ისევ დავფრინავ"...

— დღესაც რამდენჯერმე გავიფიქრე. როცა პირველ სეტში ანგარიში გავათანაბრე, ძალიან თავისუფლად ვიგრძენი თავი. მეორე სეტიდან კი, მართლაც, ძალიან, კარგად ვითამაშე. არადა, თავიდან რამდენჯერმე გავიფიქრე, რომ თითქმის შეუძლებელი იყო ამ მატჩის წაგება.

— როცა ბლეიკ-ნადალის ნახევარფინალი ნახეთ, იფიქრეთ თუ არა, რომ ძნელი მატჩი გელოდათ?

— დიახ, ამ თამაშმა ძალიან გამაკვირვა. რაფა ძალიან კარგად თამაშობდა, მაგრამ ბლეიკს მაინც ვერაფერი მოუხერხა. ამიტომ დიდხანს ვარჩევდი წინასაფინალო ტაქტიკას და ძალიან მიხარია, რომ ჩანაფიქრის ასრულება ბოლომდე შევძელი.

— რას ნიშნავს თქვენთვის ის ფაქტი, რომ პირველი ხართ, ვინც აქ ზედიზედ სამჯერ იმარჯვა?

— განსაკუთრებული გრძნობაა. მიყვარს რეკორდები და ბედნიერი ვარ, რომ ერთი მაინც არის ჩემს ანგარიშზე.

ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი. ქალები

აღარ მეშინია!

საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მარია შარაპოვამ მოახერხა ტიტულის მოპოვება — ინდიან უელსში ზღაპრულად იჩოგნავა და ტურნირზე ერთი ამოსუნთქვით გაინარნარა. ამით თითქოს იმის თქმა უნდოდა — თუ ტრავმები ხელს არ შემიშლის, მზად ვარ, ნებისმიერს ვაგემო ჩემი ჩოგნის ძალა და უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლოო

მარია შარაპოვა ამ ვეშაპთან ერთად იმვარჯიშებს

— როგორ გრძნობთ თავს?

— მართლაც, რომ ბრწყინვალე შეგრძნებაა. შარშარდელი წელიწადი ძალიან ძნელი იყო. ტრავმებმა გამაწამა. ადვილი არ არის, როცა ყოველ მორიგ ტურნირზე ვერ ახერხებ გადამწყვეტი მატჩების ნორმალურ დონეზე ჩატარებას და მთელი ნაშრომი, ფაქტობრივად, წყალში იყრება. ამიტომ ამ მოგებას ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

— ეს პირველი ტურნირი იყო, როცა მხარი არ გტკიოდათ?

— არა. იდეალურ ფიზიკურ ფორმაში არც ახლა ვიყავი, ბოლო მატჩების დროს ტრავმამ რამდენჯერმე შემახსენა თავი.

— მაგრამ, ეტყობა, ისე ძალიან აღარ გაწუხებთ...

— იცით, მთავარი რა არის? აღარ მეშინია. თუ მტკივა, ვიცი, რომ ასი პროცენტით ვერ ჩავაწოდებ, მაგრამ, სამაგიეროდ, დარწმუნებული ვარ, რომ სხვა კომპონენტებში, მაგალითად, სისწრაფეში, ტრავმა ხელს ვერ შემიშლის. ამის გამო უფრო თავისუფლად ვთამაშობ.

— ხომ არ გაგირთულდებათ?

— არა, თანდათანობით სულ უფრო უკეთესად ვგრძნობ თავს.

— ამინდზე რას იტყვით, ძნელი იყო ასეთ ქარში თამაში?

— ნამდვილად. ქარმა ძალიან გამირთულა ცხოვრება. ბურთს ვურტყამდი და არ ვიცოდი, საით წავიდოდა, განსაკუთრებით რთული მოწოდებისას იყო.

— შარშანდელი მოვლენები ხომ არ გახსენდებოდათ, როცა ნახევარფინალში ლინდსი დევენპორტთან გეიმიც ვერ აიღეთ?

— სულელური კითხვაა. ეს ხომ ერთი წლის წინ იყო, უკან რატომ უნდა ვიყურებოდე? წარმოდგენა არ მაქვს, რატომ უნდა მეფიქრა ამაზე. ამ სპორტში შეიძლება პირველ წრეში წააგო, მაგრამ მომდევნო კვირას რაიმე სერიოზული ტურნირი მოიგო. ეს ხომ ჩოგბურთია, ყოველ ახალ კვირას ახალი შანსი გეძლევა.

— როცა ჰინგისთან ტოკიოში წააგეთ, მალე დაივიწყეთ?

— იმავე ღამეს. დასამახსოვრებელი რა იყო, საზიზღრად ვთამაშე.

— ესე იგი, წაგებებს მალე ივიწყებთ. მოგებაზე რას იტყვით, მათ თუ იხსენებთ ხოლმე?

— რა თქმა უნდა.

— როცა ცუდად ხართ, მაშინ იხსენებთ თქვენს წარმატებებს?

— არა. რატომ მაინცდამაინც ამ დროს? უბრალოდ, მიყვარს სურათები, მომწონს მათი გადათვალიერება — კარგი მოგონებები ამოტივტივდება ხოლმე, ის, რასაც მივაღწიე და მოვიგე და ხშირად ვიცინი კიდეც.

— თქვენი ფოტოკოლექციიდან დაასახელეთ ორი სურათი, რომელიც ძალიან მოგწონთ.

— ჰოო, ცოტა ძნელია. ერთი, ალბათ, ის, როცა უიმბლდონი მოვიგე და პრიზი მიჭირავს, მეორე, ალბათ, რომელიმე პიროვნების.

— ბებიის?

— ბებიის რატომ? მე ოჯახის წევრების ბევრი ფოტო მაქვს და იქიდან რომელიმეს ამორჩევა ძალიან გამიჭირდება.

— შეგიძლიათ, გვითხრათ, ნამატჩევს ვის ელაპარაკეთ მობილურით?

— მეგობარსა და დედას.

— ამ ტურნირის შემდეგ ამელი შორესმო პირველი ჩოგანი გახდება. რას ფიქრობთ ამაზე?

— მან სავსებით დაიმსახურა. წლეულს რამდენიმე პატარა და ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო — ამით ყველაფერია ნათქვამი.

— გახსოვთ, ბოლოს როდის ითამაშეთ ასე კარგად — ძლიერად და აგრესიულად, თან მთელი კვირის განმავლობაში?

— მე ვიტყოდი, რომ ავსტრალიაში ძალიან კარგად ვითამაშე და ალბათ, მოგებაც შეძეძლო. თუმც ჟუსტინთან წაგებამ ბევრი რამ მასწავლა.

— რამდენად ძნელი იყო იმასთან შეგუება, რომ ტრავმები თქვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა?

— დღით ერთთავად შოკში ვარ, იმაზე ფიქრში ვიღვიძებ, რამე მტკივა, თუ არა. რას იზამ, ეს ჩოგბურთელის ცხოვრების ნაწილია.

— მალე შეგეგუეთ ამ ფაქტს, თუ გარკვეული დეპრესია გქონდათ?

— უკვე იმდენ ტურნირზე ვთამაშობთ, რომ დაღლილობა გარდაუვალია. ამდენი შეჯიბრი, ვარჯიში, გახურება თამაშების წინ — თავისთავად ძალიან იღლები. სულ უფრო ძნელი ხდება ახალი მატჩისადმი განწყობა. მაგრამ უნდა იცოდე, რომ თუ შენ ცუდად ხარ, არც შენი მეტოქე იქნება კარგად. ყველა ერთნაირ პირობებში ვართ. ზოგი უფრო მეტად იქნება დაშავებული, ვიდრე შენ ხარ, ზოგი — არა. სანამ ამას მიხვდები, იმედგაცრუება გარდაუვალია.

— ყველა იღებს ტრავმებს?

— დიახ და კიდევ ერთხელ დიახ. ყველა იღებს ტრავმებს და ყველას სტკივა რამე.

— შარშან კიმ კლაისტერმა ზედიზედ ორი ტურნირის მოგება მოახერხა. რას ფიქრობთ დამდეგ მაიამის მასტერსზე?

— ვფიქრობ, აქ გამარჯვება თვითდაჯერებას შეშლტებს. ახლა უკვე ვიცი, რომ მთელი კვირა შეძეძლია უმაღლეს დონეზე თამაში. ისე კი, მიყვარს ყოველ კვირა თამაში. რაც მეტს ვთამაშობ, მით უკეთესად ვგრძნობ თავს. ასე რომ, შევეცდები, კიმის შედეგი გავიმეორო.

— თქვენივე სტანდარტებით რომ ვიმსჯელოთ — დღეს კარგად ითამაშეთ?

— ძნელი სათქმელია. ასეთ ქარში კარგი თამაში თითქმის შეუძლებელია. ამ პირობებში მთავარი არა კარგი თამაში, არამედ მოსაგები გზებისა და მეთოდების პოვნაა.

— გეამაყებათ, რომ ტურნირმა რუსების უპირატესობით ჩაიარა?

— რა თქმა უნდა. რამდენი ხანია, რუსული ფინალი არ ყოფილა. 2004-ში იყო ბევრი რუსული ფინალი და იმედი მაქვს, მერეც ბევრი იქნება.

— რას უპირებთ ამ „ვეშაპა“ პრიზს?

— რა გითხრათ, ის ისეთი მძიმეა, რომ ტარებაც არ შეიძლება. თუმც ჩემს მხარს დატვირთვა სჭირდება და შეიძლება, ის ვარჯიშისას გამოვიყენო.

NHL რეგულარული ჩემპიონატი

18 მარტი

ნეშვილი 9:4 კალგარი

2:2 5:2 2:0

1:0 სალივანი (1), 2:0 კარია (6), 2:1 ფანიოფი (8), 2:2 მაკარტი (20), 3:2 ნიკოლი (24), 3:3 ჰუსელიუსი (25), 4:3 ერატი (25), 4:4 ფანიოფი (29), 5:4 ჯონსონი (32), 6:4 კარია (37), 7:4 ტიმონენი (40), 8:4 ტუტუ (54), 9:4 ჰორდიჩუკი (58)

რეინჯერსი 5:2 ტორონტო

1:0 3:0 1:2

1:0 იაგრი (12), 2:0 სიკორა (22), 3:0 ნიულენდერი (31), 4:0 პრუსა (38), 4:1 ელისონი (52), 4:2 ელისონი (59), 5:2 სიკორა (60)

სან ხოსე 3:4 დალასი

0:1 3:1 0:1 0:0 0:1

ბულიტების სერიაში

0:1 ლეჰტინენი (16), 0:2 კაპანენი (32), 1:2 ნიემინენი (38), 2:2 რისმილერი (38), 3:2 მიხალეკი (39), 3:3 მოდანო (47), 3:4 გადამწყვეტი ბულიტი: მიეტინენი

მონრეალი 4:5 პიტსბურგი

3:3 1:1 0:1

0:1 ბოგუნიცკი (4), 0:2 მელოუნი (6), 1:2 ბულისი (10), 2:2 მიურეი (12), 3:2 სურეი (17), 3:3 ლეკლერი (20), 4:3 სურეი (32), 4:4 უიტნი (34), 4:5 რუა (44)

ბოსტონი 4:2 კაროლინა

0:0 1:0 3:2

1:0 ბერჟერონი (23), 2:0 ბოიზი (42), 2:1 ბრინდამორი (44), 2:2 სტაალი (45), 3:2 ბოიზი (48), 4:2 ბოიზი (51)

ლოს ანჯელესი 3:1 სენტ ლუისი

0:0 0:1 3:0

0:1 გლუმაკი (32), 1:1 ეკერი (41), 2:1 კამალერი (45), 3:1 ბელანჟე (57)

ედმონტონი 3:4 დეტროიტი

1:1 1:1 1:1 0:0 0:1

ბულიტების სერიაში

0:1 ზეტერბერგი (11), 1:1 სტოლი (13), 2:1 სტეიოსი (32), 2:2 ჩელიოსი (35), 2:3 ჰოლმსტრიომი (45), 3:3 პიზანი (59), 3:4 გადამწყვეტი ბულიტი: ზეტერბერგი

ვაშინგტონი 3:4 ფლორიდა

2:1 0:2 1:0 0:0 0:1

ბულიტების სერიაში

1:0 კლარკი (5), 1:1 სიმი (9), 2:1 კლარკი (16), 2:2 ბოუმისტერი (35), 2:3 ოლეში (35), 3:3 კლარკი (43), 3:4 გადამწყვეტი ბულიტი: ნიუნდაიკი

ოტავა 4:2 ბუფალო

2:0 1:1 1:1

1:0 შეფერმ (9), 2:0 ხარა (13), 3:0 სმოლინსკი (28), 3:1 აფინოგენოვი (29), 3:2 ბრიარი (50), 4:2 კელი (60)

ატლანტა 2:4 ფილადელფია

1:1 1:2 0:1

0:1 კნუბლი (11), 1:1 ჰოლიკი (13), 1:2 კარტერი (26), 1:3 უმბერგერი (36), 2:3 ჰოსა (39), 2:4 დიმიტრაკოსი (46)

19 მარტი

პიტსბურგი 0:1 ტორონტო

0:0 0:0 0:1

0:1 კილგერი (54)

კოლუმბუსი 3:4 ანაჰაიმი

2:1 1:2 0:1

0:1 ბუშმენი (6), 1:1 ფერდევი (14), 2:1 ფრიჩე (14), 3:1 ნეში (22), 3:2 მოუნი (25), 3:23 პერი (26), 3:4 ლუპული (52)

მინესოტა 2:3 კალგარი

0:1 1:0 1:2

0:1 ლენგკოუ (7), 1:1 ბუნარი (39), 1:2 იფილა (43), 2:2 ულეი (49), 2:3 ჰეიდლუსი (55)

ნიუ ჯერსი 0:4 ოტავა

0:0 0:3 0:1

0:1 ჰიტლი (25), 0:2 ივსი (34), 0:3 ვერმეტი (40), 0:4 ხარა (60)

სან ხოსე 6:5 კოლორადო

3:1 2:3 1:1

1:0 პრაისინგი (7), 1:1 ტარჯონი (9), 2:1 ჰენანი (15), 3:1 ჩიჩუ (16), 4:1 მარლო (22), 4:2 ჰეიდუკი (31), 4:3 ლაპერიე (33), 5:3 მარლო (34), 5:4 ლაპერიე (37), 5:5 ლაილსი (51), 6:5 მაკოლი (56)

ვანკუვერი 3:7 დეტროიტი

0:3 3:2 0:2

0:1 ჰოლმსტრიომი (7), 0:2 უილიამსი (7), 0:3 ლიდსტრიომი (11), 0:4 დიციუკი (22), 1:4 კარტერი (24), 2:4 ნესლენდი (25), 2:5 უილიამსი (40), 3:5 კუკი (40), 3:6 შენაჰანი (41), 3:7 ფრანცენი (44)

ჩიკაგო 2:3 ფინიქსი

1:1 0:2 1:0

0:1 მარა (5), 1:1 ბრაუნი (12), 1:2 კომრი (30), 1:3 დოუნი (37), 2:3 კალენი (57)

ტამპა 5:2 აილენდერსი

1:2 1:0 3:0

0:1 ფერვე (2), 1:1 კუბინა (17), 1:2 იაშინი (18), 2:2 ლეკავალიე (40), 3:2 ფედოტენკო (50), 4:2 სან ლუი (55), 5:2 ბოდინი (58)

ბადრი კეკელაძის ფოტო

ჯიკო გამოაწყვეს

პირველი ლედი ნაკრებისთვის სპონსორს ეძებს

საქართველოს 2004-05 წლების ქალთა ჩემპიონი ჯიხაიშის „ჯიკო“ გუშინ ქვეყნის პირველი ლედისგან დასაჩუქრდა. ფრენბურთის ფედერაციაში მოწყობილ პრესკონფერენციაზე, უამრავი ჟურნალისტის თანდასწრებით, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის საპატიო და ნაღდმა პრეზიდენტებმა სანდრა რულოვსმა და ლევან ახვლედიანმა ჯიხაიშელ გოგონებს ეკიპირების სრული კომპლექტი გადასცეს. ეს კი პირველი ლედის შუამავლობით და ჰოლანდიური „როც ვესტერშელდე კოლეჯის“ კეთილი ნებით მოხდა. სპორტული ფეხსაცმელი, მაისურები, ბურთები, ბადე, ჩანთები, სპორტულები, ვიდეოკამერა... ეს არასრული ჩამონათვალია იმ საჩუქრებისა რაც ჯიკოელებმა გუშინ ჰოლანდიელებისგან მიიღეს და ეკიპირების პრობლემა ბოლომდე მოაგვარეს. სანდრა რულოვსი: „ეს ერთჯერადი აქციაა, თუმც ჩვენ უკვე ვმუშაობთ, რომ ფედერაციას გენერაულრი სპონსორი მოვუძებნოთ და ნაკრებებსაც მოვუხსნათ ეკიპირების პრობლემა. საერთოდ, საქართველოში ძალიან ცოტაა ისეთი ფედერაცია ქალთა და კაცთა ნაკრებებიც რომ ჰყავდეს“.

საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა კი თქვა, რომ ახლა ჩვენში ფრენბურთი სულ უფრო პოპულარული ხდება და ეს ტემპი რომ არ დაიკარგოს, სახელმწიფოს მხარდაჭერა ყველაფერზე მთავარია.

ბაჩო სვანიძე

ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ეკატერინბურგი. რუსეთი

ნახევარფინალი

ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა)	(0,5:0,5)	ალისა გალიამოვა (რუსეთი)
სვეტლანა მატვეევა (რუსეთი)	(0,5:0,5)	სიუ იუჰუა (ჩინეთი)

ჩმილიტეს ალისას ეტლი დაეჯახა

მსოფლიოს ჩემპიონატის ორივე ნახევარფინალური შეხვედრა ყაიმით დასრულდა და ფინალისტების ვინაობა დღეს განმეორებით მატჩებში გაირკვევა.

ორი ქართველის მჯობნმა ალისა გალიამოვამ ლიტველ ვიქტორია ჩმილიტესთან პირველი მატჩი შავი ფიგურებით ყაიმით დაასრულა და ფინალისკენ ნაბიჯი გადადგა. შეგახსენებთ, რომ აქამდე რუსმა დიდოსტატმა ორი ჩვენებური — მაკა ფურცელაძე და ნინო ხურციძე გამოთიშა ტურნირს.

გალიამოვას ჩმილიტესთან შედარებით დაბალი რეიტინგი აქვს, თუმც ფავორიტად უფრო რუსი მიიჩნევა და ეს ამ პარტიიდანაც გამოჩნდა. ლიტველმა დიდოსტატმა გუშინწინ საკმაოდ მძიმე ბრძოლა გადაიტანა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესთან და ჩანს, გადაიღალა. გალიამოვასთან შეხვედრისას მას აღსანიშნავი არაფერი გაუკეთებია და დაფაზე უფრო შავები უპირატესობდნენ. ქალებმა დებიუტში ლაზიერის გამბიტი გაითამაშეს. გალიამოვამ თავიდანვე იერიშებზე გადაიტანა ყურადღება, მეტოქეს მსუბუქი ფიგურებით შეუტია და ცენტრში მცირე უპირატესობა მოიპოვა. მალე ბრძოლაში მძიმე ტექნიკაც ჩაერთო, 28-ე სვლაზე g უჯრიდან გალიამოვამ ეტლ-ლაზიერით თეორია გამაგრებული ალაგი ამოიღო მიზანში და ორ სვლაში a ხაზიდან მეორე ეტლით დასცხო. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ლიტველია ხელმწიფე, ორივე მხრიდან შავების მძიმე ტექნიკა მიესია. გალიამოვამ ბევრი აღარ აწვალა ჩმილიტე, ლაზიერით სვლები სამჯერ გაამეორებინა და 42-ე სვლაზე ზავი გამოაცხადა.

ყაიმისთვის ორჯერ მეტი სვლა დასჭირდათ სვეტლანა მატვეევას და სიუ იუჰუას. ჩინელი. რეიტინგით მეოთხედფინალისტებს შორის საუკეთესოა და მატვეევასთან ფავორიტადაც ჩაითვლება.

დღეს ფინალისტები გამოვლინდებიან, ხვალ დაისვენებენ და ხუთიდან ოთხმატჩიან ბრძოლას შეუდგებიან.

ლაშა გეგეჭკორი

თბილისელებმა შტანგა ვაკეში ასწიეს



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

გუშინ ვაკის ძალოსნობის დარბაზში დასრულდა ოთხდღიანი თბილისის ღია პირველობა. ტურნირმა ნაკრების ბირთვის გარეშე ჩაიარა. ვანო გრიქუროვი ექვსი შეგირდით პოლონეთშია, ევროპის ჩემპიონატისწინა შეკრებაზე.

ყველაზე იოლ გამარჯვებებს **ნიკა თოდუამ** (85 კგ), გიორგი ბეჟიტაშვილმა (105 კგ) და ლევან მამისაშვილმა (+105 კგ) მიაღწიეს. დანარჩენ წონებში კი მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლები გაიმართა.

თბილისის 2006 წლის ღია ჩემპიონატი

56 კგ

1	რომა სარქისიანი	145კგ (65+80)
2	ირაკლი დავითაია	105 კგ (50+55)
3	გიორგი გორგიშელი	75 კგ (30+45)

62 კგ

1	გიორგი სიდამონიძე	195 კგ (85+110)
2	შალვა ლორთქიფანიძე	180 კგ (80+100)
3	ლევან მჭედლიშვილი	175 კგ (80+95)

69 კგ

1	გიორგი წიკლაური	207,5 კგ (92,5+115)
2	მიხეილ საყვარელიძე	200 კგ (90+110)
3	ბესო პაპიაშვილი	200 კგ (87,5+112,5)

77 კგ

1	ალექსანდრე მელაძე	262,5 კგ (120+142,5)
2	კობა ობოლაშვილი	255 კგ (112,5+142,5)
3	ალექსანდრე მექვაბიშვილი	222,5 კგ (102,5+120)

85 კგ

1	ნიკა თოდუა	277,5 კგ (127,5+150)
2	დავით ნოზაძე	217,5 კგ (95+122,5)
3	გიორგი თაქთაქიშვილი	200 კგ (90+110)

94 კგ

1	ვალერი ლობჟანიძე	230 კგ (100+130)
2	რომა მებონია	227,5 კგ (97,5+130)
3	გიორგი დარაშვილი	190 კგ (80+110)

105 კგ

1	გიორგი ბეჟიტაშვილი	315 კგ (145+170)
2	ბონდო ბახტურიძე	167,5 კგ (72,5+95)
3	კახაბერ ჩიგოგიძე	165 კგ (70+95)

+105 კგ

1	ლევან მამისაშვილი	262,5 კგ (122,5+140)
2	კახაბერ კაკალაშვილი	145 კგ (70+75)

კოკაიმ ცუპარი გაიხსენა

მარტის ბაშოს დასრულებამდე ექვსი ტური რჩება და კოკაის ანგარიშზე სამქულიანი უარყოფითი ბალანსია. ქარველი რიკისი ცხრა ტურში ექვსჯერ დამარცხდა და კატიკოსის (დადებითი ბალანსის) შესასრულებლად ერთი მარცხის უფლებაღა შერჩა.

გუშინ შავმა ზღვამ ტოკიცუმის საფირმო ცუპარებით (კორპუსში ხელების კვრით) გადუარა. უქმეებზე კოკაი კი იმპერატორის თასის ორ მოავარ პრეტენდენტს დაეჭიდა და ორივესთან დამარცხდა. თუ სასწაული არ მოხდა, სწორედ ამ ორ დიდკაცს შორის გათამაშდება ოსაკას ბაშოზე პირველი ადგილი. ოცდამეერთე საუკუნის ერთადერთი იოკოძუნა ასასიორუ და ოცდაერთი წლის ოძეკობის კანდიდატი ხაკუხო ჯერ ერთხელაც არ წაქცეულან და უახლოეს მდევრებს ორი ქულით უსწრებენ.

ასასიორუ და ხაკუხო ერთმანეთის პირისპირ ხვალ დადგებიან. იქამდე კი ალბათ კვლავ წყვილად ილიდერებენ. წესით, დღეს მძიმე ბრძოლა არც ერთს არ უნდა გადახდეს. კოკაის დღევანდელი მეტოქე კი ლამის ორცენტნერიანი კომუსუბი მიაბიამაა.

ბოლო მედლები ევროპამდე

საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ამ უქმეებზე ჩატარებული ბულგარეთის „ოქროს პრიზი“ ორი ბრინჯაოს მედლით მოიარა. თითქმის ოპტიმალური შემადგენლობიდან კვარცხლბეკზე ასვლა მხოლოდ ირაკლი ჭოჭუამ (55 კგ) და შალვა გადაბაძემ (84 კგ) შეძლეს. შვიდი წონითი კატეგორიიდან უქართველებოდ მხოლოდ 96 კილოგრამი ჩაჭიდავდა. ოლიმპიურმა ვიცე-ჩემპიონმა რამაზ ნოზაძემ ბულგარეთში წასვლა ტრავმის გამო ვერ შეძლო და სავარაუდოდ, ამავე მიზეზით ვერც ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავებს. მის შემცვლელს ნაკრების მწვრთნელი ბეგი დარჩია ორ დარჩენილ წინასაევროპო ბორკომულ შეკრებაზე შეარჩევს.

აპრილამდე მწვრთნელი არც სხვა საგზურგანაღდებულთა დასახელებას იჩქარებს. საქართველოს ნაკრები საერთაშორისო ტურნირზე აღარ გამოვა და წონაში საუკეთესონი შიდა კონკურენციით გამოვლინდებიან. ევროპის ჩემპიონატი კი აპრილის ბოლოს მოსკოვში ჩატარდება.

ქართველი ბერძენ-რომაელები ბულგარეთიდან დღეს ბრუნდებიან.

ოთარ მაღლაკელიძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეკელაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი ვოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლარაოვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00